[illegible] სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

[illegible] გაზეთი. [illegible]

შაბათი, 27 მარტი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე [illegible] 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] სტრიქონი 5 მანეთი. [illegible] 4 მან. [illegible] განცხადება [illegible] 15×2 სტრიქონი [illegible]. 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის მისამართი: [illegible] ქ. 4, [illegible] ქუჩის მე-12-ით. ტელეფონი 16—62

№ 07

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა

№ 70

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბაბილინე ალექსანდრეს ასული, შვილები: იაგორ, ივანე, ვასო, პეტრე, მიშა და ნატაშა, რძალი ოლღა და შვილიშვილი თინა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 27 მარტს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფას

ალმასხან ესეს ძე ურუშაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა-პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ქუთაისში, პეტრე პავლეს ეკლესიაში. (2076 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი ნინო, ვასილი, ალექსანდრე, შალვა და ანდრია მალაშხიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 მარტს დიდუბის ტაძარში იქნება წირვა და პანაშვიდი ექვსი თვის შესრულების აღსანიშნავად ტრაგიკულად დაღუპვის პირველთ ორისა ძვირფასი შვილისა და უკანასკნელთ სამისა საყვარელ ძმისა სამხედრო მფრინავის კაპიტან

გრიგოლი ვასილის ძე მალაშხიას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება ათ საათზე და პანაშვიდი 12 საათზე. (1081—2—2)

ალ. ლუკაშევიჩი აუწყებს ნათესავებსა და ამხანაგებს დაუვიწყარი მეუღლის გარდაცვალებას

ნეოლინა ნესტორის ასული ლუკაშევიჩი

რომელიც გარდაიცვალა 26 მარტს, გამოსვენება მოხდება 27 მარტს დილის 9 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან რკინის გზის ეკლესიაში, დასაფლავება მოხდება კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში ამავე დღეს დღის 3 საათზე. (1090 1—1)

უბედური და გამწარებული ნადია სპირიდონ ქვათათელაძის ასული გრიგოლაშვილი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ, რომ 28 მარტს დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის ავიატორის კაპიტან

პავლე ათანასეს ძე გრიგოლაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს. მიცვალებულის საფლავზე. (1096 2—1)

ქართული კლუბი

კვირას, 28 მარტს, დილის 12 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის თაოსნობით გაიმართება

სალიტერატურო დილა

1. ლექცია ვახტანგ კოტეტიშვილისა—„უგზოობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“.

შინაარსი:

1) ევროპის ტყვეობაში, 2) ღალატი, 3) მანიერიზმი, 4) გზები იყრებიან, 5) ვინ გაიმარჯვებს, 6) რუბიკონი, 7) ასე ბრძანებს საქართველო.

2. კაზმული სიტყვა

მონაწილეობენ: დუტუ მეგრელი, პ. იაშვილი, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ლ. ჯაფარიძე, თამუნა, ნ. ტაბიძე, ი. მჭედლიშვილი, გ. ლეონიძე, კ. ჭიჭინაძე, ი. გრიშაშვილი, ვ. რუხაძე, ტ. ტაბიძე, იოსელი მეუნა, მარიჯან. გ. ცეცხლაძე და სალიტერატურო წრის წევრები: ს. აბულაძე, ილ. სიხარულიძე და ილ. გოგიაშვილი. ბილეთები იყიდება სტუდენტთა სასადილოში, უნივერსიტეტის სადგომში, იმ დღეს კი ქართული კლუბის კასაში.

გამგე—დილის მომწყობი კომისია. (1086—2—2)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

შემოწმებული თფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.

(ყვითელი, ფრანგული ჯიში)

„დ. დ. დეკანოზიშვილის“ ფირმისა.

დუშეთის ქუჩა, № 23, ბინა მექამარიშვილისა. (1026 3—2)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს თფილისის მებოსტნეობის

პრაქტიკულ სკოლაში მიიღება

დაკვეთა ყოველგვარი ბოსტნეულის ნერგებზე

მისამართი მუშტაიდის შესახვევი № 4. სკოლის გამგე გ. თოფურიძე. (6. 6—3)

საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიღნაღის სამაზრო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 1-ლ აპრილისთვის (ახალი სტილით) დანიშნულია სამაზრო პარტიული კონფერენცია. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) სამაზრო კომიტეტის მოხსენება, 2) მოხსენებანი ადგილებიდან, 3) თანამედროვე მომენტი, 4) პარტიული მუშაობა მაზრაში, 5) სამაზრო ერობის სოც.-დემოკრ. ფრაქციის მოხსენება და 6) მიმდინარე საკითხები. თვითეულ სათემო ორგანიზაციას ევალება გამოგზავნოს ხსენებულ კონფერენციაზე დასასწრებლად ორ-ორი წარმომადგენელი. კონფერენცია შესდგება ქ. სიღნაღში სასამართლოს შენობაში დილის 10 საათზე. (გ. 3—3)

ავლაბრის მუშათა კლუბში

შაბათს, 27 მარტს 1920 წ. სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდი

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით გამართავს

სახალხო კონცერტს

მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა სახალხო მომღერალნი: ამერ. შანშიაშვილი, ვ. ცაქალამანიძე, კ. ინასარიძე, ივ. ფუტკარაშვილი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე ლაზარაშვილი. ანონსი: ახლო მომავალში კონცერტი გაიმართება სახელმწიფო თეატრში. (1089—1—1)

გულდათუთქულნი: დედა ვასასი, ძმები: ილია, პროკოფი და ლავროსი, რძალი გოგინა, დები: ოლიჩქა, ზაინიკა, გულნარდი, ვერიჩკა და ელენე, ძმის შვილები: მირცა, სოსო და შაშურია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ 24 მარტს ტრაგიკულად გარდაცვალებას დაუვიწყარ

ნატაშა (დაშა) გიგილოს ასულ კალანდაძის

გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას დილის 11 საათზე. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (ფ. 1—1)

ექიმი შ. ა. აქრომბირიძე

ღებულობს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რუსთაველის ქუჩა № 22, [illegible]. (ნ.—ა.)

სახალხო სახლი

კვირას 28 მარტს დღისით ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდის მიერ გაიმართება

სახალხო კონცერტი

4 განყოფილებად. ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი დღის 12 საათზე. (1042—1—1)

ბათუმი და ბოლშევიზმი

იმ კამათის დროს, რომელიც მოხდა დამფუძნებელ კრების სხდომაზე ბათუმის საკითხის გარშემო, ნ. ჟორდანიამ თავის სიტყვაში ასეთი აზრი გამოთქვა. დღევანდელ მომენტში პოლიტიკური ტაქტი მოითხოვს, რომ მთელი ჩვენი ყურადღება მივაპყროთ ჩრდილოეთის მხრიდან მომდგარ საფრთხეს და ბათუმის გამო საქმე არ გავართულოთ და დავიდარაბა არ ავტეხოთ. დაახლოვებით ეგევე აზრი გამოთქვა ნაც.-დემოკრატების ორატორმა შ. გვაზავამ.

ეს აზრი ფეხს იკიდებს „ობიექტიურ“ წრეებში: ბათუმზე დავის ატეხა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბოლშევიკების საშინელ საფრთხეს ავიცილებთ თავიდან. ეს კი ჩვენ მხოლოდ „ანტანტის“ დახმარებით შეგვიძლიან და, მაშასადამე, დღეს ბათუმის გულისათვისაც კი არ უნდა გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც „ანტანტის“ გულისწყრომის გამოწვევა შეუძლიანთ.

ერთის შეხედვით ეს აზრი თითქოს ანგარიშ-გასაწევია, მაგრამ, თუ საქმის ვითარებას კარგათ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ასეთი შეხედულება ნაყოფია ბეცი პოლიტიკისა, რომელიც თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს და რომელსაც ამიტომ შეუძლიან მდგომარეობა დააბნიოს და დიდი ზიანი მიაყენოს საზოგადოების სულიერ განწყობილებას.

ამ შეხედულების გამომთქმელნი ვერ ხედავენ, რომ ბოლშევიკური საფრთხე ჩვენს რესპუბლიკას მოელის არა მარტო ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდანაც და, სახელდობრ ბათუმიდანაც. ჩრდილოეთიდან მომდგარი ბოლშევიზმი ჩვენთვის არ წარმოადგენს ისეთს დიდს და პირდაპირს საფრთხეს, როგორც ეს წარმოუდგენიათ დამფუძნებლის „ობიექტიურ“ წრეებს: უდისციპლინო, მოუწყობელი და რიცხვით მცირე. „წითელი არმიის“ ნაგლეჯები, რომლებიც ყუბანში და თერგის მხარეში შემოიპარნენ, „იმარჯვებენ“ მხოლოდ დენიკინის ფაქტიურათ არ არსებულ ჯარზე, მის ბრბოების ნეშთებზე, რომლებიც გარბიან ერთი ბოლშევიკის დანახვაზე და რომლებსაც თვით მცხოვრებნი უკანიდან ქვა და გუნდას აყოლებენ. „წითელი არმია“ ვერ შებედავს ჩვენი რესპუბლიკის გაწვრთნილ ჯართან შეტაკებას და თუ შებედავს, დარწმუნდება, რომ ერთი და იგივე არ არის ბრძოლა მოძალადე და მტაცებელ კონტრ რევოლუციონურ ჯართან და ბრძოლა შეიარაღებულ დემოკრატიასთან, რომელიც იცავს მის მიერ მრავალ ჯაფით აგებულ დემოკრატიულ კერას. პირდაპირი საფრთხე ჩრდილოეთის მხრით დიდი არ არის. ბოლშევიკური საფრთხე ხშირათ ბათუმშია უფრო ძლიერი. ამ აზრს დიდი დამტკიცება არ სჭირდება, მას შემდეგ, რაც ჩვენმა პრესამ გამოაქვეყნა ის დოკუმენტები, რომლებიც უდავოთ ხდიან იმ ფაქტს, რომ ბათუმში შეთანხმება მოხდა საქართველოს ყველა მოწინააღმდეგეთა—ბოლშევიკების, ოსმალეთის იმპერიალისტების და დენიკინელებისა, რომ ისინი ამ მხარეში სერიოზულათ ემზადებიან, რომ საქართველოს ჩამოგლიჯონ ეს [illegible], არიგებენ დიდძალ ფულს, ფულს, დიდძალ იარაღს, აჭარაში ჩუმ ჩუმათ შემოჰყავთ გადაცმული ასკერები სულეიმან-ბეგის რაზმიდან, მჭიდრო კავშირი აქვთ დაჭერილი ოსმალთა იმპერიალისტების საიდუმლოთან ქემალ ფაშასთან და გეგმაც კი აქვთ შედგენილი იმის შესახებ, თუ რომელ რაიონებათ დაანაწილონ აჭარა საქართველოს წინააღმდეგ მუშაობის მოსაწყობათ.

ბათუმი ცენტრია იმ ბლოკისა, რომელიც შეკრულია ბოლშევიზმისა და ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის შორის. ეს ბლოკი დღეს ყველასათვის ცხადია და აშკარაა, მისი არსებობა თავს იჩენს ყველგან, ამიერ-კავკასიის მთელს სამხრეთში ბაქოდან მოყოლებული ბათუმამდის. ფეხი მოკიდებული აქვს მას ყველგან, სადაც კი ამიერ კავკასიის არც ერთს რესპუბლიკას არ მიუწვდება ხელი. ბათუმია ამ ბლოკის უმთავრესი ბაზა, მაგრამ იგი თავისუფლად მოქმედობს, მოგზაურობს, ბორჩალოს მაზრის „ნეიტრალ ზონაში“, როგორც ამას მოწმობს სომხეთის ოფიციოზი „არევი“. „ნეიტრალი ზონა, ამ გაზეთის სიტყვით, ყველა ავანტიურისტთა თავშესაფარად გადიქცა... აქ არის ცენტრი ოსმალთა და ბოლშევიკთა მოღვაწეობისა, რომლებიც შეთანხმებულათ აწყობენ ინტრიგებს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების წინააღმდეგ“. ბოლშევიკები, ოსმალეთის იმპერიალისტები და აზერბეიჯანის პან-ისლამისტები დიდს აგიტაციას აწარმოებენ ყარსის ოლქში, თვით ერევნის გუბერნიის მუსულმანთა სოფლებშიც. მუსტაფა ქემალ ფაშას აგენტები მოფუთფუნებენ კავკასიის მთელ სამხრეთში და შოვინისტურ აგიტაციას ეწევიან საქართველოს და სომხეთის წინააღმდეგ, და ამ აგიტაციაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ ბოლშევიკური მოღვაწენი.

ბოლშევიკურ საფრთხესთან ბრძოლა საჭიროა არა მარტო ჩრდილოეთის მხრივ, არამედ სამხრეთითაც. ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა ჩავშალოთ მათი ბუდე, რომელიც მათ გაუმაგრებიათ პან-ისლამისტებთან ერთად ბათუმში.

ჩრდილოეთის მხრივ, პირდაპირ შეტაკებაში ჩვენი შეიარაღებული დემოკრატია ადვილად გაუმკლავდება კარზე მომდგარ ანარქიას, მაგრამ მან ჯერ უნდა გაიმაგროს ზურგი, იგი უნდა დარწმუნებული იყოს, რომ სამხრეთის მხრივ იგი უზრუნველყოფილია, რომ ჩრდილოეთისკენ ბრძოლის დროს მას ზურგიდან არ ჩასცემს მახვილს ბოლშევიკურ პანისლამისტური ბლოკი.

ბათუმის საკითხის გადაჭრა ჩვენთვის ამავე დროს ბოლშევიკურ საფრთხესთან ბრძოლისათვის ყოფილა აუცილებლათ საჭირო. ბოლშევიზმი მიდის ჩრდილოეთიდან, პან-ისლამიზმი სამხრეთიდან და ამ ორ ძალამ უკვე მისცა ერთმანეთს ხელი ბათუმში. ბათუმის შემოერთებას ჩვენთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან ამით ჩვენ გავწყვეტთ იმ რკინის ჯაჭვს, რომელიც ბოლშევიკ-პან ისლამისტებმა შემოარტყეს გარშემო ჩვენს რესპუბლიკას.

აზერბეიჯანის აგენტების მუშაობის შესახებ

ბათუმიდან ჩვენმა რედაქციამ გუშინ შემდეგი დეპეშა მიიღო:

„უკანასკნელ ხანებში, საქართველოს და აზერბეიჯანის ხალხთა მტრები რაღაც ინტრიგებისათვის ავრცელებენ სხვა და სხვა ხმებს პრესაში საქართველოს ხალხის და მის მთავრობის წინაშე მოკავშირე აზერბეიჯანის ხალხის და მისი მთავრობის წინააღმდეგ. ამბობენ, ვითომ აზერბეიჯანის აგენტები [illegible] აიარაღებს საქართველოს წინააღმდეგ. ბათუმში არსებული აზერბეიჯანის ნაციონალური საბჭოს სახელით პროტესტს ვაცხადებთ ამ პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ორი მეზობელ ხალხის წინააღმდეგ და ვფიქრობთ, რომ ამ ავანტიურისტებს კარგათ იცნობს საქართველოს და აზერბეიჯანის საზოგადოებრივი აზრი.

აზერბეიჯანელთა ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე გათამ ზადე.

რედაქციისაგან: ჩვენს ხალხს ორი თქმულება აქვს:

ფეხი მტვრის, ბოლო მაკვირვებს...

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...

აი ეს ორივე თქმულება გვაგონდება, როცა ზემოთ მოყვანილ დეპეშას ვკითხულობთ...

სიტყვა და საქმე

ამ სათაურით გაზეთ „სამუსლიმანო საქართველო“ 25 მარტის ნომერში სხვათა შორის შემდეგს სწერს:

აზერბეიჯანის კონსულმა ბათუმში ბ-მა ეფენდიევმა ჩვენი გაზეთის [illegible] განყოფილებაში მოათავსა წერილი, რომლითაც ის აცხადებს, რომ აზერბეიჯანის მთავრობა ბათუმის ოლქის შესახებ არავითარ კამპანიას არ ეწევა, რომ აზერბეიჯანი სრულიად არ არის დაინტერესებული ბათუმის ოლქის საკითხში, რომ თითქო არც აზერბეიჯანის მთავრობა და არც აზერბეიჯანის საკონსულო ბათუმში არავის არ ურიგებს ფულს ბათუმში და ოლქში აზერბეიჯანის სასარგებლო აგიტაციის გასაწევათ და თითქოს რასაც ჩვენი გაზეთი სწერს ამის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება. გაზეთი ურევს ერთმანეთში ოლქისა და ბათუმის პორტის საკითხსა,—სწერს ბ-ნი ეფენდიევი. ეს წერილი ბ-ნ ეფენდიევს საჭიროთ დაუნახავს მოეთავსებინა გაზეთ „ნაშ კრაი“შიაც. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ როგორც ბ-ნ ეფენდიევის, ისე აზერბეიჯანის მთავრობის სხვა აგენტების სიტყვა და საქმე ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. მათი სიტყვა სხვაა, საქმე კიდევ სხვა. სიტყვით ბ-ნი ეფენდიევი და ძმანი მისნი აცხადებენ, რომ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ ისინი აგიტაციას არ ეწევიან, მათი საქმე კი სულ წინააღმდეგს ამტკიცებს.

„საქმე კი მდგომარეობს შემდეგში: აზერბეიჯანის პარლამენტის წევრი ახმედ ჰემდი-ეფენდი აზერბეიჯანის მთავრობის მიერ გამოგზავნილ იქნა აქ აზერბეიჯანის სასარგებლო აგიტაცია პროპაგანდის გასაწევათ. ვაგზლიდან პირდაპირ ბ-ნი ახმედ ჰემდი-ეფენდი ბ-ნ ეფენდიევთან გაემგზავრა. საჭირო გარიგების შემდეგ ახმედ-ჰემდი წაბრძანდა „სულთა მილეთის“ კომიტეტში, გააკეთა იქ მოხსენება და მოუწოდა დაეწყოთ გადაწყვეტილებით ოლქში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაცია და მოეთხოვათ, რომ ბათუმის ოლქისაგან გამოყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჰემდი-ეფენდის ჩამოსვლამდე „სულთა მილეთის“ ჯგუფი აწარმოებდა აგიტაციას ბათუმის ოლქის ოსმალეთთან შეერთების შესახებ. როცა ჰემდი ეფენდიმ განუმარტა ამ ჯგუფს, რომ [illegible] ცალიერ სიტყვით გადაიქცა, როცა ის და პირველ „სულთა მილეთის“ ჯგუფი დიდძალი ფულით აზერბეიჯანისა, როცა თითეულ წევრს დაუნიშნა თვიურათ ზოგს 30 თუმანი, ზოგს 40 და ზოგსაც მეტი აზერბეიჯანის ფულით და საჭიროთ მიიჩნია პროპაგანდა-აგიტაციის გაწევა ბათუმის ოლქისაგან ცალკე სახელმწიფოს გამოსაყოფლათ,—„სულთა მილეთის“ ჯგუფმა შეწყვიტა ოსმალეთთან შეერთების აგიტაცია და ხელი მიჰყო იმას ქადაგებას, რომ ბათუმის ოლქისაგან შეიქმნას ცალკე სახელმწიფო, ეს გახლავთ ფაქტი, ე. ი. ეს არის საქმე აზერბეიჯანის და მისი აგენტებისა.

მეორე ფაქტი, გახლავთ შემდეგი: იმავე აზერბეიჯანის პარლამენტის წევრმა ახმედ ჰემდი-ეფენდიმ შეადგინა რეზოლუციის პროექტი და დაავალა მის მიერ აზერბეიჯანის ფულებით მოსყიდულ პირებს, რათა რეზოლუციის პროექტზე ხელი მოეწერა. ამ პროექტით აზერბეიჯანის აგენტი ჰემდი-ეფენდი მოითხოვდა, რომ ბათუმის ოლქისაგან შექმნილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო და ახლავე არჩეული ყოფილიყო აჭარისტანის პარლამენტი.

მესამე ფაქტი: აზერბეიჯანის პარლამენტის წევრმა, აზერბეიჯანის მთავრობის აგენტმა იმავე ჰემდი-ეფენდიმ დენიკინელების გაზეთ „ნაშ კრაიში“ ჩვენი გაზეთის საპასუხოთ მოათავსა წერილი, რომლითაც განაცხადა, რომ ის, ბ-ნი ჰემდი-ეფენდი, მუშაობს იმისათვის, რომ აჭარისტანიდან შექმნას სუვერენული სახელმწიფო. ეს წერილი, თქმა არ უნდა, თუ ბ-ნ ეფენდიევის კარნახით არ იყო დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, ბ-ნ ეფენდიევს წაკითხული მაინც ექნება.

ასეთია ფაქტები. ამ ფაქტებს უნდა დავუმატოთ კიდევ შემდეგი მეტად საგულისხმიერო ფაქტი, რომელიც ნათელს ჰფენს ბ-ნ ეფენდიევის მოღვაწეობას და მისწრაფებას:

მკითხველებს მოეხსენებათ ის უბედურება, რაც თავს დაატყდა ახალციხის ქართველ მუსლიმანებს სერვერ ბეგის ავანტიურით, ჰქონდა თუ არა რაიმე დამოკიდებულება სერვერ-ბეგის ავანტიურასთან ბ-ნ ეფენდიევს და მის მთავრობას? ამაზე პასუხს იძლევა ის წერილი, რომელიც სერვერ ბეგმა მისწერა თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს. ეს წერილი ხელთ ჩაუვარდა ჩვენ რედაქციას და ის თავის დროზე გამოქვეყნებული იყო ჩვენს გაზეთში. სერვერ-ბეგი სწერდა თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს: [illegible] დელეგატები, რომლებიც უნდა გაგზავნოთ სტამბოლში. დელეგატებმა აუცილებლათ ბათუმში უნდა ინახულონ მახმუდ-ბეგი (ეფენდიევი). თითო დელეგატისათვის აზერბეიჯანის მთავრობის მიერ გადადებულია სამასი ათასი მანეთი.

ასე სწერდა სერვერ-ბეგი თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს. აქედან მკითხველი ნათლად დაინახავს: ქონდა თუ არა ახალციხის ავანტიურასთან კავშირი აზერბეიჯანის მთავრობას და ამ მთავრობის კონსულს ბათუმში ბ-ნ ეფენდიევს.

ჩვენ ხელთ არის სხვა ფაქტებიც, რომლებიც ააშკარავებენ აზერბეიჯანისა და მისი აგენტების მოქმედებას სამუსლიმანო საქართველოში, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლათ, რომ აზერბეიჯანის მთავრობა და მისი საკონსულო ბათუმში სიტყვით საქართველოს მთავრობას ძმობა ერთობას უფიცებიან, საქმით კი დანას ლესავენ ჩვენ სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

დამფუძნებელი კრება

23 მარტი. საღამოს სხდომა.

თავმჯდომარე. ალ. ლომთათიძე.

ო. ხოჯოდაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის ნახევარი მილიონი მანეთის გადადებისა.

შემდეგ გაგრძელდა მსჯელობა ფოსტა-ტელეგრაფის შტატების დამტკიცების შესახებ.

ამ საკითხზე ლაპარაკობს კ. **ნანიძე**, რომელიც ამბობს: ჩვენს ოპოზიციას სურს მიბაძოს სხვა ქვეყნის მაგალითებს. სახელმწიფო დუმაში მთავრობას სასტიკად ებრძოდნენ მცირე ჯგუფები, განსაკუთრებით სოც. დემოკრატიული პარტია. მაგრამ იქ სულ სხვა მდგომარეობა იყო. იქ უმცირესობა ფაქტიურად ხალხის უმრავლესობას წარმოადგენდა, ხოლო მთავრობა ხალხის უმცირესობის წარმომადგენელი იყო და ამიტომ იქ ოპოზიციის გამოსვლები ფართო გამოხმაურებას პოულობდა ხალხის მასაში და მნიშვნელობაც ჰქონდა. ხოლო ჩვენი ოპოზიცია მოკლებულია ასეთ მნიშვნელობას, ის დაწვრილმანდა. შემდეგ ორატორი ეხება დოლიძის სიტყვას და ამტკიცებს, რომ დოლიძე ვითომცა იბრძოდა პარტიული კლიკების წინააღმდეგ და თვითონ თავის სიტყვაში დაამტკიცა, რომ სწორედ პარტიული ფონი და კაპიტალის შექმნის ინტერესი ალაპარაკებს. ბ. დოლიძე აქ გამოვიდა ვითომც მერძევნიშვილის და სხვების დამცველად, მაგრამ, როგორც დამცველი, ცუდი გამოდგა.

დღეს

ფრანგული პრესის ცნობით გერმანიაში თანდათანობით სიწყნარე მყარდება. ბერლინში გაფიცვები შეწყდა.

რურის ოლქის წარმომადგენელთა და გერმანიის მთავრობის შორის მოლაპარაკება გრძელდება.

რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაცია გაგრძელდება იმ დრომდე, სანამ გერმანიის მხრით აგრესიული მიზნების უქონლობაში გარანტია არ ექნებათ მოკავშირეებს.

ბოლშევიკების ცნობით ლიტვასა და პოლონეთს შორის დამოკიდებულება გამწვავდა.

ბაიკალის იქითა მხარეში ბოლშევიკებსა და ერობათა წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება დაიწყო.

აქ ამბობდნენ, რომ ბერძენიშვილი არ არის სავსებით ნათელი პიროვნება და თუნდაც რომ იყოს, ანგელოზიც რომ იყოს, მაინც არ უნდა დაწყრილობდეს დეპუტატი ასე და ამ ტრიბუნიდან არ უნდა თქვას ისეთი სიტყვები, როგორიც დადიანმა ინება. ასეთი გამოსვლა მათი უძლურების დამახასიათებელია.

შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ სოც.-დემოკრატიას არსად არ ეჭირა პარტიული ელემენტების გაბატონება, ეს უფრო შეეფერება იმ ფრაქციას რომელსაც ხალხში გავლენა არა აქვს და სურს კანცელარია მაინც ჩაიგდოს ხელში და იქ გაბატონდეს, [illegible] ამბობენ, რომ იმ უწყებაში, რომელიც სოც.-ფედერალისტებს ჰქონდათ ჩაბარებული, პარტიული კაცები გაამრავლეთ, ამბობენ, რომ იქ სოც.-ფედერალისტებს დიდი გავლენა ჰქონდათ.

შემდეგ ორატორი ვრცლად ეხება მოხელეთა უფლებრივ მდგომარეობას, პროფესიონალურ კავშირების მოვალეობას და ამბობს: დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია ის, თუ მუშებს თავისუფლება არ ექნებათ, მაგრამ ეს თავისუფლება ხომ განსაზღვრულია. მაგრამ ბ. დადიანის პირით სოც.-ფედერალისტები უფრო შორს მიდიან და ამბობენ: რადგან ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი თვითონ არიან ტეხნიკოსები, საქმეს თვით უფრო იცნობენ და ამიტომ მიღება-დათხოვნის უფლება მათ ხელში უნდა იყოსო. ეს დებულება ბ. დადიანმა დღეს ცოტა შეაკეთა და სთქვა—კავშირს რეკომენდაციის უფლება უნდა ჰქონდესო. რეკომენდაციის უფლებას ჩვენ არავის არ ვართმევთ, მაგრამ სავალდებულო რეკომენდაციის მიღება კი დაუშვებლად მიგვაჩნია. მართალია, წინეთ, როცა ძველი დაინგრა, ხოლო ახალი წყობილება არ იყო აშენებული, რევოლუციის პირველ ხანებში, კავშირი თვითონ იღებდა და ითხოვდა მოსამსახურეებს. მაშინ ეს დასაშვები იყო და აუცილებელიც, მაგრამ დღეს კი, როცა ერთგვარი უფლებრივი ნორმები უკვე ჩამოყალიბებულია, ასეთი სისტემა მიუღებელია, სოც.-დემოკრატიას და მთავრობას არ შეუძლიათ არ შეებრძოლონ ისეთ მოვლენას, რადგანაც ის ჯგუფურ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვინემ ხალხისას, და ეწინააღმდეგება დემოკრატიზმს.

კერძო ჯგუფი, ერთეული ყოველთვის გადახრის სასწორს ერთი მხრით, ხოლო სახელმწიფო, როგორც იძულებითი ორგანო, მოწოდებულია ეს ჯგუფები ერთნაირ კალაპოტში ჩააყენოს.

და აი, ამ დებულების უარყოფა, ან დაფარვა სოც.-ფედერალისტებს არ შეუძლიათ. ჩვენ რომ პარტიული კაპიტალის ვეძებდეთ, ამას არ ვიტყოდით, რადგანაც ვიცით, რომ ამით ჩვენ ვერავის მივიმხრობთ, პირიქით, ჩვენ შეიძლება ზოგიერთი დავიშოროთ, მაგრამ ჩვენ ამის არ გვეშინია, ჩვენ ვდგავართ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და სახელმწიფოებრივ ინტერესებს ვიცავთ.

უნდა აღვნიშნო, რომ ბ. დადიანი იცავს ამ შემთხვევაში წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებს, ინტელიგენციას და სხვ. და ეს არც გასაკვირია სოც.-ფედერალისტებისაგან. მათი მასწავლებელი არჩ. ჯორჯაძე ჯერ კიდევ, პარიზის „საქართველოში" სწერდა, რომ ჩვენ უნდა ერთ დროშის ქვეშ მოვუყაროთ თავი გლეხებს, თავად-აზნაურებს, ვაჭრებს, ეპისკოპოსებსა და სხვ. (ს. დადიანი ადგილიდან: სიცრუეა!) მე ამ ტრიბუნიდან სიცრუეს არ ვიტყვი, მაგრამ სირცხვილი თქვენი, ბ. დადიანო, რომ თქვენი მასწავლებლის ნაწერებს არ იცნობთ. შემდეგ ორატორი აღნიშნავს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის საქმიანობას, სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დგომას, სახელმწიფო ინტერესების ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა დაყენებას და ამბობს, რომ მას, მგელაძეს, უნდა ვუთხრათ, რომ კეთილი იყოს თქვენი საქმიანობა. (ტაში)

შემდეგ სიტყვას ამბობს ს. დადიანი რომელიც აცხადებს, რომ ბ. მგელაძის მიერ მოყვანილი ფაქტები ყალბი იყო, ასახელებს ერთ-ერთ სასამართლოს განაჩენს, რომლითაც მოხელე ბერძენიშვილი გამართლებულია სასამართლოს. შემდეგ ორატორს მოჰყავს წვრილმანი ფაქტები, რომლებსაც ფ. ტ. შტატებთან ნაკლებათ აქვთ კავშირი. ორატორმა მოხელე ქალ და კაცს შორის მიწერ-მოწერაც კი წაიკითხა ტრიბუნიდან, რომელსაც ყველა დამსწრენი უკმაყოფილონი შეხვდნენ.

შემდეგ ილაპარაკა ი. ნუცუბიძემ, რომელმაც გაილაშქრა უწყების პოლიტიკის წინააღმდეგ.

ბატონ სამსონ დადიანს პასუხი გასცა ოლქის უფროსმა მგელაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მოხელე ბერძენიშვილი ორჯერ იყო გასამართლებული. ერთ შემთხვევაში ის გამართლდა, მაგრამ ჩემ მიერ დასახელებულ შემთხვევაში ის სასამართლომ გამტყუნა და აი, საბუთიც (აიღებს ხელში განაჩენს, რომელზედაც ხელი უწერია ბერძენიშვილსაც და უჩვენებს დამფ. კრებას. დადიანი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, ის რაღაცას ამბობს, თავმჯდომარე მას წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდებს, დადიანი დარცხვით დარბაზიდან გადის). შემდეგ ორატორი არღვევს ყველა დებულებებს მოწინააღმდეგეებისას და ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მოსამსახურეთა არავითარ დევნას ადგილი არ ჰქონია, უსამართლოდ არავინ დაუთხოვიათ სამსახურიდან, არავითარ პარტიულ დევნას ადმინისტრაციის მხრით ადგილი არ ჰქონია, პირიქით, სოც.-ფედერალისტებს ოლქის უფროსის კანცელარიაში [illegible] საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავთ და სხვა.

მომხსენებლის უკანასკნელი დასაბუთებული სიტყვის შემდეგ შტატები განხილულ და დამტკიცებულ იქნა.

პირადი საკითხისათვის სიტყვა ეძლევა გ. ლასხიშვილს, რომელიც ამბობს: აქ რამოდენიმეჯერ გაიმეორეს, რომ სახალხო განათლების სამინისტრო ს.-ფედერალისტებით იყო სავსე, როცა ის სოც.-დემოკრატებს გადაეცათ, მე ვაცხადებ შემდეგს: კანცელარიაში მხოლოდ 5 კაცი იყო სოც.-ფედერალისტი, ხოლო გამგეობაში იყვნენ სოც.-ფედერალისტ პედაგოგები მოწვეულნი, მაგრამ ეს მის შემდეგ, რაც არა ერთ და ორ სოც.-დემოკრატ პედაგოგს მივმართე მიეღო ესა თუ ის თანამდებობა და მათგან უარი მივიღე. ისე კი მასწავლებლობაში ბევრია სოც.-ფედერალისტები და ჩემი ბრალია?

ქ. ნინიძე აღნიშნავს რომ მისი სიტყვა ეხებოდა მხოლოდ საერთო სისტემას და არა პირადათ ბ. ლასხიშვილს, რომელსაც ის პირადათ პატივს სცემს.

ნ. რამიშვილი. მე არ მითქვამს, რომ ბ. ლასხიშვილი იყო ყველაფერში დამნაშავე, მე განვაცხადე მხოლოდ, რომ, როცა ჩვენ ეს უწყება გადმოგვეცა სოც.-ფედერალისტთა მოხელენი დიდ ცვლილების მოხდენას მოელოდნენ, მაგრამ მე არავითარი ცვლილება არ მომიხდენია. ბ. ლასხიშვილმა კარგათ იცის, რომ მე საერთოდ არ მაქვს თვისებად პარტიული ელემენტების გაბატონება ამა თუ იმ უწყებაში, ეს შეეფერება ბ. ელიავას და დადიანს, რომელნიც მუდამ და ყოველთვის პარტიული ფანატიკოსობით მოქმედებენ.

დასასრულ მოსმენილ იქნა სახელმწიფო კონტროლიორის ფ. გოგიჩაიშვილის განცხადება, რომ ის მთავრობის დავალებით უნდა გაემგზავროს საზღვარგარეთ და შესაძლებლად სცნობს თუ არა ამას დამფუძნებელი კრება. კრება ბ. გოგიჩაიშვილის განცხადებას ადასტურებს.

საქართველო, აზერბეჯანი და საბჭ. რუსეთი

ამ წლის 24 იანვრის გაზ. „კომუნისტში" დაბეჭდილია საქართველოსა და აზერბეიჯანის მისიების შემდეგი განცხადება:

ევროპიული და ამერიკული პრესსა იძლევიან ცრუ ცნობებს უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოსა და აზერბეიჯანის დელეგაციების მიღების შესახებ.

ამ ინფორმაციის მიხედვით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა განაცხადეს თანხმობა ითამაშონ ბაზისის როლი ბოლშევიკების წინააღმდეგ განზრახულ შეტევითი ოპერაციებისათვის.

მისიები საქართველოსა და აზერბეიჯანისა აცხადებენ, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა არც ერთი წარმომადგენელს ასეთი წინადადებით არ მოუმართავს, და რომ მოლაპარაკებანი როგორც უმაღლეს საბჭოში, ისე ცალკე კომისიებში, განსაკუთრებით ეხებოდა ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა დაცვას მტრისაგან თავდასხმის დროს.

ამ მოლაპარაკებათა დროს საქართველოსა და აზერბეიჯანის დელეგატებმა აშკარად გამოსთქვეს, რომ მათ ერებს არავითარი განზრახვა არა აქვთ დაიწყონ შეტევითი ბრძოლა არც ბოლშევიკებისა და არც სხვათა წინააღმდეგ, მაგრამ ეს ერები აღდგებიან როგორც ერთი კაცი სამშობლოსა და დამოუკიდებლობის დასაცავად, როგორც ბოლშევიკების თავდასხმისა, ისე დენიკინის [illegible] წინააღმდეგ.

მოლაპარაკება გამართული იყო ჩვენი რესპუბლიკათა შესახებ იმ თავდაცვისა და დახმარებისა, რომელთაც მათ აღმოუჩენენ მოკავშირე სახელმწიფონი, როგორც უმთავრესად სურსათით, ისე იარაღით და სხვა სამხედრო მასალებით მათის მდგომარეობის, მათი საზღვრებისა და დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით".

საქართველოს მისიის თავმჯდომარე
ნ. ჩხეიძე.

აზერბეიჯანის მისიის თავმჯდომარე
ა. მ. თოფჩიბაშევი.

გერმანიაში

(ინგლისური ცნობებიდან)

(დასაწყისი არ მიგვიღია) ბერლინიდან „რეიტერის სააგენტოს" შემდეგი ცნობები მოუვიდა: „ოფიციალურათ აცხადებენ, რომ დაპატიმრებულია გენერალი ფონ ლიუტვიცი და ადმირალი ფონ ტროტა. გაფიცვის კომიტეტმა ერთხმად დაადგინა, რომ ოთხშაბათს მუშაობას შეუდგნენ. რურის ოლქში მოსალოდნელია [illegible] ბრძოლა სპარტაკელებისა და მთავრობის ჯარებს შორის, ამ ოლქში გაემგზავრნენ ბაუერი და გისბერტსი. შესაძლებელია მოკავშირენი ნებას მისცემენ გერმანიას, რომ მან ნეიტრალურ ზონაში ჯარები გაგზავნოს. ამ ჯარებთან იქნება მოკავშირეთა ოფიცრები. აქ, ბერლინში მშვიდობიანობა იყო. არის ხმები თითქოს შეტაკებანი ყოფილიყოს სატახტო ქალაქის ახლოს, შპანდაუში, [illegible] ჰალეში, საქსონიაში, გოტაში და რეინის ოლქის სხვა ადგილებში.

დრეზდენიდან იუწყებიან: დამოუკიდებლებმა საქსონიაში რესპუბლიკა გამოაცხადეს—კომუნისტ [illegible] მეთაურობით, რომელმაც.. (გამოტოვებულია) ფული სახელმწიფო კანტორაში და სხვა ბანკებში ყველა მაღაზიები დახურულია. ამბობენ რეინის ვესტფალის მთელი ოლქი კომუნისტების ხელშია.

(ფრანგული ცნობებიდან).

„პტი ჟურნალი" გერმანიის მდგომარეობის შესახებ შემდეგს ცნობებს იძლევა: ბერლინიდან მოსული უკანასკნელი ცნობები ამტკიცებს, რომ გერმანიაში თანდათან სიწყნარე მყარდება. სატახტო ქალაქში გაფიცვები შესწყდა.

„ფორვერტსი" აღნიშნავს შეთანხმების არსებით პირობებს. მთავრობას ავალებენ რურის ოლქში მუშების მიმართ სამხედრო ზომები არ მიიღონ, და მართლაც ამ ოლქში ამ ჟამად არსებობს ერთგვარი დროებითი ზავი, რაც ხელს უწყობს მიმდინარე მოლაპარაკებას, რომელიც, იმედი უნდა ვიქონიოთ მოკლე დროში დასრულდება. საკითხი, რომელიც ამ ჟამად უფრო საყურადღებოა,—ეს არის კაბინეტის შედგენა. შესაძლებელია, რომ ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ ახალი პირებისაგან კაბინეტის შედგენაზე და მასში მუშათა წარმომადგენლებიდან რამდენიმე პირი შევა.

ბერლინში უარყოფენ ხმებს, ფონ ლიუტვიცის და ფონ ტროტის დაპატიმრების შესახებ. აგრეთვე უარყოფენ ლიუდენდორფის დაპატიმრების შესახებ გავრცელებულ ხმებს. სამშაბათს ბილეფელდში გერმანიის მინისტრ გისბერტსისა და ბრაუნისა და რურის სამრეწველო ოლქის მუშათა დელეგატების შორის მოლაპარაკება დაიწყო. გადასწყდა 24 საათით შეკრან დროებითი ზავი, რომელიც ყოველ დღე განახლდება, რათა ბერლინის მთავრობას ანგარიშის გაწევის საშუალება მისცენ, რომ მან საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოს.

(ბოლშევიკების ცნობებიდან)

მიუხედავათ იმისა, რომ გერმანული გაზეთები სწერენ: ბერლინში მდგომარეობა უკვე ნორმალურია, ქალაქებში მუშების მღელვარება არ სწყდება. დაბრუნებული მთავრობა მუშათა წინააღმდეგ სამხედრო ზომებს არ ღებულობს, მაგრამ არ აძლევს მათ ელექტრონს, გაზს და წყალს. რურის ხეობაში ჯერ კიდევ საბჭოთა მთავრობაა. მან ებერტის მთავრობას წინადადება მისცა, რომ მუშებს არ შეუწყვიტოს სურსათის მიწოდება, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება ნახშირის დამუშავების შეწყვეტით. გერმანიის მთავრობა იარაღით ფიქრობს რურის ოლქში საბჭოთა მთავრობის დამხობას. რადგან, საზავო ხელშეკრულების თანახმად გერმანელებს არა აქვთ უფლება ამ ოლქში ჯარის შეყვანისა, ამიტომ მთავრობა სთხოვს მოკავშირეებს საგანგებო ნებართვას საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგოთ შეიყვანოს იქ 100,000 ჯარის კაცი. მოკავშირეები თანხმდებიან იმ შემთხვევაში, თუ ამ არმიას უსარდლებენ მათი ოფიცრები. ჯერ კიდევ გერმანიის მრავალ ქალაქში მუშებსა და ჯარს შორის ბრძოლა სწარმოებს. პროფესიონალ. კავშირებმა, გამოაცხადეს რა გაფიცვების შეწყვეტა, მთავრობას წარუდგინეს მთელი რიგი მოთხოვნილებათა. გერმანიის მუშები მოითხოვენ: მინისტრთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას, ყველა იმ პირთა დასჯას, რომლებიც კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა, კონტრ-რევოლიუციონური მოხელეების გადაყენებას და მთავრობის დაწესებულების რეფორმებს დემოკრატიულ საფუძვლებზე. მოითხოვენ აგრეთვე მთელ რიგ სამრეწველოების სოციალიზაციას და სურსათის პირობების გაუმჯობესებას. მთავრობას ეს პირობები მისაღებათ მიაჩნია.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშების სააგენტოსი)

26 მარტი.

ინგლისური პრესის ცნობები.

სამრეწველო საბჭოს გადაწყვეტილება.

სამრეწველო საბჭომ მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ნაქსოვი შალის გატანის შესახებ. აქამდის აძლევდნენ მხოლოდ დაბალი ხარისხის შალის გატანის უფლებას. საბჭომ გადასწყვიტა ნება დართოს შალის ყოველგვარი ნაწარმოების გატანის ყველა სახელმწიფოებში, გარდა ბოლშევიკური რუსეთისა. ფიქრობენ, რომ ეს გადაწყვეტილება ამერიკაში დააჩქარებს გირვანქის ვალიუტის აწევას. სადამირბადოს პირველმა ლორდმა ლონგმა ქვედა პალატაში აზრი გამოსთქვა წყალქვეშა ბრძოლის აკრძალვის შესახებ. ინგლისის სადამირბადო მზად იყო წყალქვეშა ბრძოლის სრული მოსპობის შესახებ შემოეტანა წინადადება, მაგრამ შემდეგში ცოტა გვიან შეიტანა ამ ნაბიჯის [illegible]. პარიზის კონფერენციაც შეუდგა წყალქვეშა ბრძოლის მოსპობაში, რადგან იგი ფიქრობდა, რომ ერთა ლიგამ ხელი არ უნდა შეუშალოს პატარა და ღარიბ ქვეყნებს, რომელთაც არ შეუძლიათ დიდი გემების ყოლა, ამგვარი საშუალებებით თავი დაიცვანო.

ერთა ლიგაში.

„მორნინგ პოსტის" ცნობით ერთა ლიგის მიერ რუსეთში ინგლისის წარმომადგენლათ მოწვეულია ლორდი ემოტი.

ჰაერში ფრენა.

როდესაც ვიგოს ნაპირებზე ინგლისის ატლანტიკის ფლოტი იმყოფებოდა, ჰიდროპლანი აფრინდა და კვლავ ჩამოფრინდა სამხედრო გემ „ფიურიესის" ბაქანზე. ეს პირველი ამგვარი შემთხვევაა. ჰაეროპლანი თუმცა ბევრჯერ აფრენილა ამ გემიდან, მაგრამ ამავე გემზე უკან ვერასოდეს ვერ ჩამოფრენილა.

უმავთულო ტელეფონი.

უმავთულო ტელეფონის გაუმჯობესების შესახებ „დეილი ნიუსი" სწერს: „მესაჯეროს" გამომცემელ სენიორ ალდო-კასიტეს რომის გარე სადგურზე მყოფ სტენოგრაფისტისთვის ჩემსფორტიდან დაუბრკოლებლივ შეეძლო უკარნახა 500 სიტყვისაგან შემდგარი წერილი. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც უმავთულო ტელეფონით სარგებლობენ სახელმწიფოთა შორის პრესის საქმეებისათვის.

ბოლშევიკები ყირიმში.

მიუხედავად ბოლშევიკური ცნობებისა, მათ ვერ შესძლეს ყირიმის ყელზე გადასვლა. ბოლშევიკები პერეკოპის ჩრდილოეთით გამაგრდნენ.

ფრანგული პრესის ცნობები.

რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაციის გაგრძელება.

„ტემპი" გვაცნობს: რადგან შეერთებულმა შტატებმა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარი განაცხადა ვერსალის ხელშეკრულება უფლებას აძლევს (429 მუხლი) რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაცია გაგრძელდეს იმ დრომდე, სანამ გერმანიის მხრით აგრესიული მიზნების უქონლობაში რაიმე გარანტიას არ მიიღებენ.

ევგ. გეგეჭკორის საპასუხო სიტყვა

წარმოთქმული დამფუძნებელი კრების 19 მარტის საღამოს სხდომაზე ბათუმის საკითხის გამო.

მოქალაქენო, უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოთ ყოველნაირი ოპოზიციას პატივს ვცემ, ვინაიდან, ჩვენი ღრმა რწმენით ცხოვრებაში და მით უმეტეს, პოლიტიკურ სფეროში, ოპოზიცია აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს და მასთან, მოვლენას პროგრესიულს, ვინაიდან ის მოწოდებულია არის უჩვენოს მომქმედ ჯგუფს, მართველ აპარატს იმ შეცდომებზე, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ ეს მართველი აპარატი ჩაიდენს, და თავის თავად ცხადია, რომ შეცდომები, მით უმეტეს დღევანდელ ჩვენ პოლიტიკურ ვითარებაში ბუნებრივი და აუცილებელია.

მდგომარეობა მეტად რთულია და ძნელი თავხედობა იქნებოდა, თუ რომელიმე ჩვენგანი გაბედავდა იმის თქმას, რომ ის უცოდველია. მაგრამ ამავე დროს ოპოზიციის ერთი აუცილებელი მოთხოვნილება უნდა წარუდგინოთ—ეს ობიექტიურობა—მიუდგომლობა. თუ ის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, მაშინ ის, თავისთავად ცხადია, პირნათლად ვერ ემსახურება თავის დანიშნულებას.

ბ. შენგელაიამ დაიწუნა ჩვენი პოლიტიკა. მან სთქვა, რომ ჩვენ პოლიტიკაში არ გვქონდა სისტემა, აღებული სწორი ხაზი და აი, ამან რა შედეგები მოგვიტანაო. თავდაპირველად უნდა ვთქვა, რომ ეს ძალიან ახირებული დებულება არის პოლიტიკოსის. ვინაიდან პოლიტიკა დამოკიდებულია არა იმ გარემოებების მიხედვით, რომელიც გვაქვს ამა თუ იმ მომენტში, არამედ—მიხედვით იმისა, თუ რით არის გამოწვეული ეს გარემოებები და რამდენათ ამ გარემოებაში მიუძღვის წილი მართველ წრეს, მართველ პარტიას. თქვენ ვერ შექმენით სოლიდარობა ამიერ-კავკასიის ერებს შორისო, გვისაყვედურებს დამფუძნებელი კრების პატივცემული წევრი ბ. შენგელაია. მაგრამ მას დაავიწყდა, რომ სწორედ ამ მხრივ იყო მიმართული ჩვენი პოლიტიკა, თვით ბ. შენგელაიამ აღიარა,—რომ ის ხელშეკრულება, რომელიც იყო დადებული ჩვენს შორის, მე ვლაპარაკობ აზერბეიჯანის და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ, სამხედრო აქტია,—რომ მისმა ფრაქციამ ეს აღნიშნა და მიესალმა მას. მაშასადამე, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ხელშეკრულება დავდევით მეზობელ რესპუბლიკასთან და თუ ეს ხელშეკრულება ამა თუ იმ მიზეზების გამო არ ტარდება ცხოვრებაში და ამას არ ატარებს არა საქართველოს მთავრობა, არამედ—მისი კონტრაგენტი ნების მიზეზით, დამფუძნებელი კრების წევრო პატივცემულო ბ. შენგელაია, მოგახსენოთ, რომ ამაში ბრალი საქართველოს მთავრობას არ მიუძღვის. და თუ შეთანხმებას მივაღწიეთ, განა ეს ჩვენი პოლიტიკის შედეგი არ არის? განა ეს დიდ ღირსებებს არ წარმოადგენს? თქვენ იტყვით, რომ ეს ფურცელზე დარჩა, ეს ცხოვრებაში არ გატარდება. მე თქვენ გეკითხებით: თუ ჩვენი კონტრაგენტები არ ასრულებენ ამ ხელშეკრულებას, თქვენ საქართველოს მთავრობას უნდა დასდოთ ბრალი? ასეთი მეთოდი კრიტიკისა არის, ჩემის აზრით, შედეგი იმ ფსიქოლოგიური განცდისა, რომელშიაც, მე ნებას მივცემ ჩემ თავს ასე ვსთქვა, იმყოფება ეროვნების ფრაქცია. მე თვალყურს ვადევნებ მათ პრესას. იქ ხშირად ვკითხულობ, რომ საქართველოს მთავრობა [illegible], უნიათო და [illegible]გოა და კიდევ ვინ იცის. უფრო [illegible] სწერენ საქართველოს მთავრობაზე. მეც რამ, რომლებიც, იმავე დროს, ამ ტრიბუნაზე გამოდიან და სულ წინააღმდეგს ლაპარაკობენ, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ—რაც კი ხდება მთელ სამყაროში, ყველა ამის მიზეზი გახლავთ საქართველოს მთავრობა. წარმოიდგინეთ, მოქალაქენო, რომ, თუ ბათუმის ბედი ისე არ გადაწყდა, როგორც ყარსისა, ამ შემთხვევაშიაც ბრალი ყოფილა საქართველოს მთავრობისა. (ერ. ფუშმანი: ცოტა ბრალი კი მიუძღვის), იმპერიალისტები სასტიკ მტერს ბ. შენგელაიას დაავიწყდა ის, რომ ამ შემთხვევაში სწორედ იმპერიალისტური ტენდენცია გამოამჟღავნეს, როდესაც გადაწყვიტეს ამ ორი ქვეყნის ბედი. დაავიწყდა ის, რომ ერთი ინტერესი ჰქონდათ იმპერიალისტებს ყარსში და მეორე, როგორც აქ ილაპარაკა ჩემზე წინ მოლაპარაკე ორატორმა, ინტერესი ჰქონდათ ბათუმში, რომელიც შეადგენს მისთვის კარს. და მართლაც, თუ პატარა საქართველოს მთავრობა, მისი პატარა ძალღონით ვერ შეებრძოლა ამ ბუმბერაზ სტიქიას და ძალას, თუ ამაში ბრალს სდებს საქართველოს მთავრობას, მაშინ ბ. ლეო შენგელაია, დიდი წარმომადგენელი საქართველოს მთავრობაზე არა [illegible] და არც ვერ. მაგრამ ბატონ ლეო შენგელაიას, რომელიც ჩვენ პოლიტიკას გვიწუნებს და ვერ ხედავს ვერავითარს შორსმჭვრეტელობას ჩვენს პოლიტიკაში შეემჩნევა დიდი გულუბრყვილობა. წარმოიდგინეთ, რომ მან დაინახა დიდი სხვადასხვაობა სომხეთისა და აზერბეიჯანის მთავრობათა პოლიტიკის შორის ბათუმის საკითხში. (შენგელაია: პრესსა). აი, ბატონო შენგელაია, თუ თქვენ [illegible] რეალური ღირებულებას წარმოადგენს ის, რაც იწერება პრესაში. თქვენ ცდებით. მართალი სთქვა პატივცემულმა აკაკი ჩხენკელმა; მხოლოდ მაშინ დავაფასებთ ჩვენ სომხეთის პრესის პოზიციას და მაშინ იქნება ეს პოზიცია გულწრფელი, როდესაც იმას, რასაც დღეს სწერს „აშხატავორი" ან „ჰარაჩი" ამას სომხეთის მთავრობა გაატარებს ცხოვრებაში... და ამით იხელმძღვანელებს სომხეთის მთავრობის დელეგაცია პარიზში, მე კი უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ მე როგორც საგარეო პოლიტიკის პასუხისმგებელი, ასეთს იმედს ვერ გამოვსთქვამ და ამისთანა ნდობას მათ პრესას ვერ გამოვუცხადებ. მხოლოდ ამით მე, რასაკვირველია, ვერ ვიხელმძღვანელებ. და როდესაც თქვენ იქნებით საგარეო მინისტრი, თქვენ მაშინ შეგიძლიანთ ამით იხელმძღვანელოთ (ხმაურობა) რას გვიკარნახებს ბატონი შენგელაია სამოქმედოდ. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი იმისი კრიტიკა იყო უარყოფითი კრიტიკა. მე მგონი, რომ ასეთ დროს, ასეთ მომენტში ყოვლად შეუძლებელია ასეთი იარაღით გამოსვლა აქ ამ ტრიბუნაზე, ვინაიდან თქვენ აგრეთვე უნდა აღნიშნოთ, თუ რა დადებითი მხარეს უნდა ვადგეთ ჩვენ; ერთადერთი, რაც მან გვითხრა, ეს ბოლშევიკებთან მოლაპარაკებაა. მე ვიცი, მოქალაქენო, რომ ბატონი ლეო შენგელაია, გარდა იმისა, რომ დამფუძნებელი კრების წევრია, ის ცნობილი პუბლიცისტია და ეს მას შემდეგს ავალებს: მან უნდა იცოდეს, რომ ჩვენ რამდენიმე ნოტა გაუგზავნეთ ბოლშევიკებს და აშკარად გამოვსთქვით სურვილი ბოლშევიკებთან საზავო მოლაპარაკებისა. ჩვენ მიმართვებში საბჭოთა რუსეთისადმი ბ. შენგელაიას შეეძლო ნათლად დაენახა, რომ სწორედ ჩვენ ვიყავით ის[illegible]ნენი და გვინდოდა სულით და გულით, რომ ბოლშევიკებთან მოლაპარაკება დაეწყო და საერთო ენა გამოგვენახა.

გარდა ერთი მოთხოვნისა—ეს არის ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა და ჩვენს შინაურ საქმეებში არ ჩარევა. ამ ნიადაგზე ჩვენ მზათ ვართ მოლაპარაკება გაწარმოვოთ, მაგრამ ბოლშევიკებს ამის სურვილი არ გამოუთქვამთ და მთელი მათი მოპყრობა, როგორც ხედავთ, წარმოადგენს ლანძღვა-გინების პოლემიკას. ეს არ შეეფერება არც ჩვენს და არც რუსეთის ხალხის ინტერესებს. ბ-ნმა შენგელაიამ დაამთავრა იმით, რომ საქართველოს მთავრობამ დაკარგა ბათუმი და ქართველი ხალხი მას დაიბრუნებსო. მე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა არაფერს არ ნიშნავს, რომ ეს საქმის ვითარებას არ შეეფერება. უნდა მოგახსენოთ, რომ ბათუმი ჯერ არავის არ დაუკარგავს და ბათუმს საქართველო არც დაკარგავს (ტაში). და თუ ეს არ გჯერათ, ბატონო შენგელაიავ, თქვენ დათვურ სამსახურს უწევთ იმ სახელმწიფოს და იმ ერს, რომელსაც თქვენ ეკუთვნით. მე აქ განვაცხადებ, რომ ჩვენ ბათუმის ოლქში დღეს წარმოადგენთ რეალურ ფაქტორს. მე აქ განვაცხადებ, რომ მთელი ბათუმის ოლქი მოითხოვს საქართველოსთან შეერთებას. ბრძანეთ, განა ეს ნიშნავს ბათუმის დაკარგვას.

მართალია, ჩვენ დიდს პატივს ვცემთ და დიდის ნდობით ვეპყრობით უმაღლეს საბჭოს მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, როგორც მე დღეს აქ ვსთქვი, მხოლოდ ერთს აქვს ამ საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენთვის, თუ როგორი და რა დამოკიდებულება არის ბათუმის მცხოვრებთა საქართველოსადმი. ბათუმის ქალაქის არჩევნები, მეჯლისი, ყველა ის დამანუგეშებელი ცნობები, რომელიც იქიდან მოგვდის. და ყველა ეს გადასწყვეტს ბათუმის ბედს და მე ეჭვიც არ შემეპარება იმაში, რომ გადასწყვეტს საქართველოს სასარგებლოდ. მართალია, ბათუმი დავკარგეთ დროებით ორი წლის წინად, როდესაც საქართველო იბრძოდა და არა ერთი და ორი საუკეთესო შვილი შესწირა ამ გაბედულ ბრძოლაში, მაგრამ იცის ბ. შენგელაიამ, რომ ამ შავბნელ დროს იყო ერთი პარტია, რომელიც უშლიდა ქართველ ხალხს ბრძოლაში და როდესაც მობილიზაცია იყო გამოცხადებული, სწორედ თქვენი პარტია მობილიზაციის წინააღმდეგ წავიდა და ამით ხელი შეუშალა ბათუმის შენარჩუნებას. (შენგელაია: ტყუილია).

მე არას დროს ჩემს თავს არ მივცემ უფლებას და ამ ტრიბუნას ისე არ დავამცირებ, რომ ვთქვა ტყუილი. სწორედ მაშინ, როდესაც მე სამხედრო მინისტრად გახლდით,—მე მოვიყვან მაგალითს,—ქუთაისში მომიხდა წასვლა სწორედ მობილიზაციის გამო და თქვენ ამხანაგთან ივანე გომართელთან, რომელიც სამწუხაროდ აქ არა ბრძანდება, ამის შესახებ შეტაკებაც კი მომიხდა (შენგელაია: მაშინ მობილიზაცია არ იყო გამოცხადებული, მსჯელობის პროცესში იყო.) სწორედ მსჯელობისათვის მთელი სამი თვე დავკარგეთ, ვიდრე მობილიზაციის პროექტს მიიღებდა ეგრედ წოდებული „კრაევოი ცენტრი", მაშინ წინააღმდეგი თქვენი ამხანაგები იყვნენ და უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ბათუმის დროებით დაკარგვას ვინმემ ხელი შეუწყო, ეს არის სწორედ ის პარტია, რომლის წარმომადგენელი ბ. შენგელაია ბრძანდება.

საზოგადო სამუშაოთა და სახურსათო მინისტრების ანგარიში.

საზოგადო სამუშაოთა მინისტრი ტროკე და სახურსათო მინისტრის ამხანაგი ტუმირი, ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ მიღებულ იქნა მილლერანის მიერ, რომელსაც მათ თავისი მისიის ანგარიშები ჩააბარეს. ჟურნალისტების შეკითხვაზე ორივე მინისტრმა განაცხადა, რომ მისიის შედეგებით სრული კმაყოფილნი არიან.

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი 25 მარტი. მოზირის რაიონში ბრძოლა გრძელდება. პოდოლის კამენეცის რაიონში ჩვენი ნაწილები ქვემო უშიცის აღმოსავლეთით იბრძვის. ნოვოროსიისკის მიმართულებით ჩვენი ჯარი ანაპის ჩრდილოეთით 7 ვერსზე იბრძვის. ეკატერინოდარის რაიონში ჩვენ ილინსკოე ავიღეთ. სამხრეთით, ჩვენი ჯარი მტრის ზურგს უკან მოქმედ მწვანე არმიას შეუერთდა. სტავროპოლის რაიონში მდ. ყუბანზე შეტევა გრძელდება. სერგიოპოლის რაიონში სად. უჯარსკაიაზე შეტევა გრძელდება.

ბაიკალის იქითა მხარეში.

მოსკოვი, 26 მარტი. ვერხნე უდინსკში ერობათა წარმომადგენლებისაგან არჩეულმა მთავრობამ გადასწყვიტა შეაჩეროს წითელი ჯარის წინააღმდეგ მოქმედება და ჩიტაში დელეგაცია გაგზავნოს პირობების გამოსარკვევად.

პოლონეთი და ლიტვა.

ლიტვასა და პოლონეთს შუა დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ შესაძლებელია ეს ორი მხარე საომარ მდგომარეობაში ჩაითვალოს. ლიტოველთა ჯარმა დვინსკ ვარშავის გზა დაიჭირა. მთელ ფრონტზე ბრძოლაა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი 25 მარტს ბაქოში გაემგზავრა.

◆ **თფ. გამგეობის სახურსათო განყოფილება** აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის გამგეობის მიერ 20 მარტიდან დაწესებულია ახალი ნიხრი შემდეგ სანოვაგეზე: 1) ხის ნახშირი პირთუმადო—55 მ. ფუთი, წვრილად 60 მ. ფ. 2) კარტოფილი 10 მ. გირ. 3) ხახვი 8 მ. გირ., 4) კვერცხი 4 მ. ცალი., 5) გოზი მარილი 90 მ. ფუთი, გირვანქა 2. 50 კ., 6) დაფქვილი მარილი 100 მ. ფუთი, გირვანქა 3 მანეთი.

◆ **დრამატიულ საზოგადოების გამგეობის** სხდომამ დაადგინა დაჩქარებულ იქნას არტისტ. საზ. თეატრის შენობის ჩამორთმევა, რომ ის ახლო მომავალში გადაეცეს ხსენებულ საზოგადოებას. ამავე სხდომის დადგენილებით დრამ. საზოგადოება დაუყონებლივ უნდა შეუდგეს მომავალი სადრამო სეზონისთვის მომზადებას.

◆ **დაპატიმრება.** ქალაქის სახურსათო განყოფილების განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ განზრახ ყალბი საბუთების წარდგენისთვის ფულის ასაღებად ქალაქის საწყობების გამგე 3. გრიაზნოვი და შვრის საწყობის გამგე კ. სერგეენკო მათი საქმე გადაცემულია სისხლის სამართლის მილიციაზე. ამ დღეებში აგრეთვე დათხოვნილ იქნენ სახურსათო განყოფილების მიერ მეორე საწყობის გამგე ხარჩენკო და მოადგილე მოროზოვი. ყველა ეს პირები გამოგზავნილნი იყვნენ სამსახურში იაროსლავის საზირეო არტელის მიერ.

◆ **მეაბრეშუმეთა ყრილობა.** სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა ყრილობა იკრიბება ქ. ქუთაისში 4 აპრილს 1920 წ. საბრეშუმო სადგურის შენობაში დღ. 12 საათზე; ყრილობის წევრობა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა მწარმოებელ მეაბრეშუმეს ვინც ამის სურვილს ყრილობის გახსნამდე განუცხადებს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს; სამეურნეო საზოგადოებანი, ერობანი, მეაბრეშუმეთა კავშირები და კოოპერატიული თუ საკრედიტო დაწესებულებანი, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ მეაბრეშუმეობასთან, გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს; ყრილობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე კომიტეტისა ვიდრე ამორჩეული იქნება ყრილობის პრეზიდიუმი.

◆ **ჟურნალ „მუშათა ცხოვრების“** რედაქციის კანტორა აცხადებს ქუთაისის, ფოთის, სენაკის და ოზურგეთის კავშირთა საბჭოების და აგენტ შალვა გოდერძიშვილის საყურადღებოთ, რომ თუ მათზე დარიცხული ჟურნალის ფული დროზე არ იქნება შემოტანილი, ჟურნალის გზავნა ამ რაიონებში შეწყვეტილი იქნება. მოვუწოდებთ ამხანაგებს დროზე გაასწორონ ანგარიშები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალის გამოცემის საქმე ძლიერ შეფერხდება.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს შაბათს 27 მარტს ლექციებს წაიკითხავენ ცენტრში 1) ვ. კოტეტიშვილი—სოციოლოგია; 2) აკ. [illegible]—მეცნიერება სახელმწიფოზე.

◆ **ბოტანიკური ექსკურსია თელეთის ქედზე** კვირას მარტის 28 საქართველოს მუზეუმი აწყობს დღიურ ბოტანიკურ ექსკურსიას თელეთის ქედზე. ექსკურსიას ხელმძღვანელობს საქართველოს მუზეუმის ბოტანიკური განყოფილების გამგე ბ-ნი შიშკინი. დაბრუნება განზრახულია საღამოს 5—7 საათზე. ექსკურსიაში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადდნენ საქართველოს მუზეუმში (ლორის მელიქოვის ქ. 10) კვირას დილის 9 საათზე.

◆ **ცენტრო ბანკში.** ახლად გახსნილმა ცენტრო ბანკმა უკვე დაიწყო მუშაობა. შედგენილია საჭირო შტატი და ახლო მომავალში ხსენებული ბანკი თავის განყოფილებებს გახსნის პროვინციებში.

◆ **ქ. ლანჩხუთში** 28 მარტისთვის ადგილობრივ დრამატიულ წრისგან შალვა დადიანი მოწვეულია სახასტროლოდ „ექიმ შტოკმანში“.

◆ **აგრარულ კომისიაში.** დამფუძნებელ კრების აგრარულ კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კ. ნინიძე, ამხანაგად თ. ღლონტი. მდივნად ნ. ქუმსიაშვილი.

◆ **კონცერტი სახალხო სახლში.** კვირას, 28 მარტს, დღისით ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდი გამართავს სახალხო კონცერტს 4 განყოფილებით. შესრულებული იქნება მრავალი ახალი სახალხო სიმღერები, მცოდნე სახალხო მომღერალთა მიერ.

◆ **ხელოვნების ცენტრში.** 25 მარტის შემდეგომ ხელოვნების ცენტრის საბჭოს კრებამ მიიღო ბ-ნ კრესტოვსკის მოხსენება კინემატოგრაფის ნაციონალიზაციისა, მისი სახელმწიფოებრიობის და მათი ატელიების დაარსების შესახებ. ამავე სხდომამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რათა თფილისში მოეწყოს კინემატოგრაფიის ატელიები.

◆ **მასწავლებელთა კავშირის კრება** კვირას, მარტს 28, საღ. 6 ს. ვაჟთა 3 რეალ გიმნაზიაში მოხდება აღმოსავლეთ საქ. საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირის წლიური კრება.

◆ **„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის №№ 4 და 5 და მოზრდილთათვის № 11. ჟურნალები ჩვეულებრივად სუფთად და ლამაზად არის გამოცემული.

◆ **„კავკასსკოე ზერნო“.** ხვალ, კვირას, დილის 10 ს. სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (პლეხანოვის პრ., № 123) შესდგება მეორე კრება ახალ საზოგადოების—„კავკასსკოე ზერნო“-ს წევრებისა. საზოგადოება მიზნად ისახავს ცხოვრებაში პრაქტიკის მიღებით ხელი შეუწყოს სასოფლო და საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებას და შემოიტანოს ჩვენში სასოფლო სამეურნეო მანქანები და ინვენტარი ხელსაყრელ პირობებში. განსახილველია საკითხი, თუ როგორ შეიძლება დასახული მიზნის განხორციელება. მოხდება ჩაწერა წევრებისა განყოფილებებში და კომისიებში. კრებაზე ილაპარაკებენ სოფლის მეურნეები და პროფესიონალური და ერობების მოღვაწეები. საწევრო გადასახადი—10 მანეთი.

◆ **იპოვნეს** ვერის დაღმართზე ალ. ოსიაშვილის რეველი „მექანიკე“. პატრონს შეუძლია მოიკითხოს სასტუმრო „იბერიაში“, (ვაგზლის ქუჩაზე) ვარლამ კაკაურიძესთან

◆ **წარმოდგენა** დღეს საღამოს 8 საათზე არსენალის კლუბში ჩუღურეთის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია მართავს წარმოდგენას მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. წარმოდგენილი იქნება ა. ყაზბეგის დრამა „არსენა“.

◆ **გორის ფონდი** რედაქციამ მიიღო მღ. სამუელ დევდარიანის მიერ შეკრებილი 740 მ. ნ. შემომწირველთა სია: დევდარიანი, შერგელაშვილი, მაჭაძე, ჩუბინიძე, ქასრაძე, ალექსიძე და ცქიტიშვილი.

კრებები.

კვირას, 28 მარტს, დილის 10 ს., მე 6 რაიონული კოლექტივი იწვევს მუშათა კლუბის შენობაში (ბებუთოვის ქ. № 22),—ამავე რაიონის ს. ქ. სოც.-დემ. მ. პარტიის წევრთა საერთო კრებას, სადაც ამხ. ს. დევდარიანი გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე.

— კვირას, 28 მარტს, დღის 12 ს. მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე ახალგაზრდა მარქსისტთა კოლექტივი იწვევს ორგანიზაციის წევრების კრებას.

— დღეს საღ. 6 ს. დანიშნულია ს. დ. ქალთა კომიტეტის კრება, მეორე რაიონის ბინაზე.

— დღეს, საღამოს 7 ს. საკუთარ ბინაზე დანიშნულია საქ. ახ. მარქ. ორგ. ცენტრალურ კომიტეტის კრება. მომავალში ცეკას სხდომები მოხდება ყოველთვის შაბათობით საღ. 7 საათ.

ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

მოქალაქენო! ბათუმის საკითხმა დაჩრდილა. დაჰფარა დროებით ჩვენი ცხოვრების სხვა საკითხები; ბათუმის ბედმა დაგვავიწყა სხვა ყოველივე.

ამაშია დიდი შეცდომა ჩვენი ხალხისა; მაგრამ გორისა და გორის სოფლებს მიწის ძვრისაგან გაოხრებულს და გაპარტახებულებს—ნუ დაივიწყებთ. გორის აღდგენას, განადგურებული სოფლების აშენებას გვაგონებს ისტორია.

მეტად იშვიათი, არა ჩვეულებრივი დიდ დროში ვცხოვრობთ. ჩვენს ცხოვრებას და მოქმედებას ისტორია აღბეჭდავს თავის ფურცლებზე.

ვაი ჩვენი ბრალი, თუ ისტორიამ ჩვენ ასეთი განაჩენი გამოგვიტანა: დროის შესაფერისი, მომენტის ღირსნი ვერ გამოდგნენო.

მოქალაქენო! ჩვენს ხელთ არის დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ ღირსნი ვართ სახელისა, ღირსი ვართ ისტორიაში ქებით ხსენებისა.

ულირსი ადამიანია ის, ვინც ასეთ დროს მომავალზე არა ფიქრობს.

განახლებულ საქართველოს განახლებული გორი ესაჭიროება.

გორი უნდა განახლდეს, გორი უნდა აღდგეს

რითი?..

ჩვენის დახმარებით, ჩვენის თანაგრძნობით.

ღირსეულ ადამიანს სიკეთის ქმნა არასოდეს არ უნდა მოსწყინდეს.

მოქალაქენო, დაუმტკიცოთ ყველას, რომ ჩვენ ღირსეული ადამიანები ვართ.

ნუ მოგვწყინდებათ დახმარება, ნუ მოგვწყინდებათ გორელებისათვის თქვენი წვლილის გაღება.

დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო.

ᲥᲣᲩᲐᲖᲔ

მწუხრის იდუმალ თვალ თეთრმა ელვისამ
და კრთიან ქალები, როგორც ვარსკვლავები.
მიჰყვება ტრამვაი სიწრაფით ელვისა
და სცვივა ბორბლებს ქვეშ ჩინჩხალთ ნაწნავები,
მივყვები ქვაფენილს, ფოთლით ნაჰკვრებს,
თვალს ვადევნებ დარბაზებს ქუჩის პირს გაფენილს;
ხან უცხოთ შევდგები, მთაწმინდის გავყურებ
და ბარათაშვილის „მერანს“ ვეტრფი გაფრენილს
სიდიადით ამოდგება აკაკის აჩრდილი,
შეარხევს ვერცხლის თმებს, სასახლეს თვალს მიაპყრობს
და, როცა იხილავს ჩვენს დროშას ზედ გაშლილს,
აიღებს ჩანგურს და ცახცახით ჩამოჰკრავს.
და იტყვის: „ალელუია“!.. და, როგორც ელვისა,
ნაკადით დამიღვრის ეს სიტყვა ძარღვებში.
ცრემლამდე მივყავარ სულიერ ღელვისა!
ვნეტარებ, შეჭრილი განცდათა ტალღებში!

ვ. რუხაძე.

ᲙᲝᲜᲐ

№—ხ.

შენმა ნახვამ, ჩემო კარგო,
მე წარსული მომაგონა:
ტრფიალით გულზე რომ დამადე
ყვავილების ნაზი კონა.

——

ავათ ვიყავ და მითხარი:—
„—ეს დაგატკბობს, გაამებსო;
გულის წუხილს გაგიქარვებს,—
არ ჩამოჰგავს სხვა წამლებსო.

——

ოდეს იგრძნო ტკივილები
ფრთხილად, ნელა დაყნოსეო...
მომირჩენი და არ მინდა,
სხვა: არც მკურნალ და არც მცველო“!..

——

როდის იყო ეს ზღაპარი
მე არ მახსოვს არა, არა..
[illegible] ვარ, არც მოვრჩები,
სიზე ტანჯვით დავლიარა...

——

როდის იყო?.. ხშირად ვფურცლავ
წარსულისა სევდის რვეულს,
და შევხვდები უკვე დამჭკნარს
ვარდის ფურცელს მით გახვეულს.

——

გავაყოლებ ოცნების თვალს
წარსულისა გზა-კვალიანს..
და არ ვიცი, თუ ვინ ლევ
შენთან ერთად მე დღეს მხიას. .

——

რათ მიძღვენი, რათ გინდოდა,
რომ წარსული მომაგონა?!
რათ დამჭკნა ამ ჩემ გულზე
შენგან ძღვნილი ყვავილთა კონა?!.

——

რათ მარჩენდი—თუ მომკლავდი,
თუ არ გქონდა წრფელი გრძნობა?
თუ იცოდი, რომ უდროოთ
ჩვენი ვარდი დასჭკნებოდა!?

——

შენმა ნახვამ, ჩემო ცელქო,
გარდაცვლილი მომაგონა...
გთხოვ—მიიღო შენგან ძღვნილი,
შენით მჭკნარი ვარდის კონა.

დ. მეჩონგური.

2 თებერვალი 1920 წ.
ქ. თფილისი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ქალაქთა გამგეობებს ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შემდეგი სასწრაფო ცირკულიარი გაუგზავნა:

„ამა წლის თებერვლის 17 ს მთავარმა კომიტეტმა გამოგიგზავნათ მთავარი მუნიციპალურ ბანკის გახსნის შესახებ და მასთან ერთად საანკეტო ფურცელი, რომელიც სასწრაფოდ უნდა შეგევსოთ სათანადო ცნობებით ქალაქის ქონების რაოდენობისა და მ-სი ფასისა, ქალაქის შემოსავალ გასავალისა და სხ. შესახებ. ეს ცნობები, მიუხედავად მათში დიდი საჭიროებისა, დღემდე გამოგზავნეს მხოლოდ შემდეგმა ქალაქებმა: კოჯორმა, გუდაუთმა, ლანჩხუთმა, სიღნაღმა და ოზურგეთმა. რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქების მიერ ამ ცნობების გამოუგზავნელობა ხელს უშლის მთავარი კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროს გააკეთოს ისეთი საქმეები, რომელთაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ქალაქებისათვის. ამიტომ, თუ ხსენებული ცნობები ფრიად სასწრაფოდ არ იქნა გამოგზავნილი თქვენ მიერ, აღმასრულებელი ბიურო ყოველ პასუხისმგებლობის გარეშე იგულებს თავს ამ საქმის შესახებ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

როგორც ქობულეთიდან გვატყობინებენ „ითთიჰად-ი-ვე-თერეკი“-ს პარტიის წევრებს, ოსმალეთიდან გამოქცეულ შეიარაღებულ ასკერებს თავი მოუყრიათ ქობულეთში ჩეთნიკებთან ერთად და ხალხს საქართველოსთან შეერთების წინააღმდეგ მოუწოდებენ. ვინც მათ წინააღმდეგ მიდის, იარაღითაც ემუქრებიან. ხალხი ამის გამო მეტად აღელვებულია, ითხოვენ საჭირო ღონისძიებებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობა არის [illegible].

— ქალაქში ამ ბოლო ხანებში ძლიერ გავრცელდა სახადით ავადმყოფობა. [illegible] შეძლება ქალაქის თვითმართველობის სანიტარულ განყოფილებაში.

— სანავთო ფირმების მუშა მოსამსახურეებმა თავიანთ შორის შეაგროვეს და პროფ. კავშირთა საბჭოს გადასცეს გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ 252 726 მანეთი.

— 19 მარტს საღამოს 10 საათზე, შეიარაღებულმა ბოროტ-მოქმედებმა თავს დაესხნენ ხუციევ ალი რასულ ზადეს, წაართვეს ფულით 33 ათასი მანეთი და სხვადასხვა ნივთები ღირებული 58000 მანეთად. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

რუსეთი

უკრაინა, მახნო და ბოლშევიკები. რუსეთიდან გამოქცეულთა გადმოცემით ბოლშევიკების ჯარის დიდი დემორალიზაცია ეტყობა. ბოლშევიკების ჯარში უკრაინის საგრძნობი ნაწილია. ამ ჯარების მამოძრავებელ ძალას შეადგენს ერთი მხრით ის უკრაინა, რომელსაც სახლში სურს დაბრუნება და მეორეს მხრით ის ნაწილი, რომელსაც მხოლოდ პურის შოვნა აინტერესებს. უმაღლეს „კრუგის“ მიერ დენიკინის ცნობამ შედეგად ის გამოიღო, რომ ყუბანის ყაზახობის უმრავლესობამ ფრონტი მიატოვა; შესდგა პარტიზანული რაზმები, რომლებმაც დენიკინს დაუწყეს ბრძოლა. როგორც დენიკინს, ისე ბოლშევიკებს ებრძვის მახნო. მახნოს ჯარი შესდგება უკმაყოფილო ელემენტებისაგან. მახნოს გლეხები უჭერენ მხარს და ამით აიხსნება მისი სიძლიერე. როდესაც მახნოს რაზმებს ალყას შემოარტყამენ, ისინი მცხოვრებლებში ითქვიფებიან,—იარაღს მალავენ და ამ დროს მახნოს რაზმები ბოლშევიკების ჯარის ზურგში მოექცევიან და დიდ ზიანსაც აყენებენ მას; მახნოს მიზანი და პროგრამა გაურკვეველია. ბოლშევიკების ჯარები თანდათან მცირდება, ვინაიდან დიდი ნაწილი წითელ-არმიელებისა შრომის არმიაში გადაიყვანეს. ხალხში ანტიბოლშევიკური მოძრაობაა; მასსის ფსიქოლოგია ვერ იტანს ბოლშევიზმს.

მახნო. მახნომ უარი განაცხადა ბოლშევიკების წინადადებაზე, რათა, მას უკანასკნელებთან კავშირი შეეკრა პირიქით, მახნო განაგრძობს მოქმედებას ბოლშევიკების წინააღმდეგ და უკვე ქ. სუმაში დაიჭირა შემთხვევით დ [illegible] ბოლშევიკების რამდენიმე [illegible] ზით აღნიშნავს, რომ მახნოს ძალები თანდათან ვრცელდება უკრაინაში და ზოგი ზედ იკავებს გუბერნიებს. ბოლშევიკების ცნობებით მახნოს ძალები რამოდენიმე ათეულ ათასებს უდრის; მათი საერთო რიცხვი გაცილებით მეტია, ვინემ ბოლშევიკების ძალები სამხრეთის ფრონტზე. („ტრიბ. კავ.“)

სამხედრო მდგომარეობა სამხრეთ რუსეთში სამხრეთ რუსეთში სამხედრო მდგომარეობის შესახებ სარწმუნო წყაროებიდან შემდეგს იტყობინებიან: ყუბანის ჯარის ატამანი თავისი რაზმებით თანდათან სამხრეთისაკენ მოიწევს. მას ეურთდება გენ. ულაგაი, რომელიც ტიხორეცკაიას რაიონში მოქმედებდა. გენ. შკურო აგრეთვე პარტიზანულ რაზმებს და ატამანთან შეერთებას აპირებს. დონელების ნაწილიც ატამანს უერთდება; მეორე ნაწილი ტამანის ნახევარკუნძულზე იყრის თავს, საიდანაც ყირიმში აპირებს გადასვლას.

ნოვოროსიისკში. ნოვოროსიისკში ცნობები მოუვიდა, რომ მახნოველთა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. მახნოველები ახალი ლოზუნგით გამოდიან: „ძალაუფლება—მეფეს, მიწა—ხალხს!“ მახნოველების წინააღმდეგ საბრძოლველად ბოლშევიკებმა საუკეთესო ნაწილები მოხსნეს სამხრეთის ფრონტიდან, სხვათა შორის, ბუდიონის ცხენოსანი რაზმიც. ნოვოროსიისკში თავი მოუყრიათ „მოხალისეთა“ ზოგიერთ ნაწილებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ სამხედრო დისციპლინა. ეს ნაწილები შეიარაღებული არიან ინგლისელების საწყობებიდან გამოტანილი იარაღით; ტანისამოსიც ინგლისელთა საწყობებიდან აქვთ მიცემული „მოხალისეებს“ გადაწყვეტილი აქვთ ნოვოროსიისკში მოაწყონ გამაგრება, რათა ნოვოროსიისკის დაწესებულებათა და სხვა ქონების ევაკუაცია მოახდინონ.

ოსმალეთი.

ოსმალეთის პასუხი და ლტოლვილები. კონსტანტინოპოლის ოსმალური პრესა აშკარა წინააღმდეგია ოდესა ნოვოროსიისკიდან გამოქცეულ ლტოლვილთა კონსტანტინოპოლში შეშვებისა და მოითხოვს მთავრობისაგან, რათა მან ენერგიული ზომები მიიღოს ამ მოვლენის წინააღმდეგ. ზოგიერთი გაზეთი საკითხს პოლიტიკურ ნიადაგზე გადააქვს. მაგ. „იკდამ“-ი, სხვათა შორის, სწერს: „მოსკოვის“ არსებობა ყოველთვის საფრთხეს წარმოადგენდა ოსმალეთისათვის. ორი საუკუნეა ყაზახები ბარბაროსები გვებრძვის ან ჩვენ და თავს გვესხმოდნენ სწორედ კონსტანტინოპოლის მხრივ. ეხლა კი ქუჩებში „რუს ლტოლვილებს“ და ვკითხულობთ: რად უნდა მივცეთ თავშესაფარი მათ, ვინც ამ 3 წლ. წინათ თითო-თითოობით [illegible] ან ტაძრის მიღებაზე? ასეთივე მოთხოვნილებას უყენებს მთავრობას გაზ. „[illegible]“. იგი სხვათა შორის სწერს, რომ რუსი ქალები ძირს დასცემენ კონსტანტინოპოლის ზნეობასო.

საფრანგეთი

საზავო ხელშეკრულების გარშემო. თანდათან დიდ ყურადღებას იქცევს საკითხი საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. ბევრი მომხრეები ჰყავს ამ საკითხს ამერიკაში და ინგლისში; [illegible] როგორც ფართო საზოგადოება ისე მთავრობის წრეების წარმომადგენლებიც. მხოლოდ საფრანგეთი სდგას ჯერ კიდევ ძველ პოზიციაზე. ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთის ყოფ. მინისტრის ტარდიეს წერილი, სადაც იგი ამტკიცებს, რომ საზავო ხელშეკრულება ნაყოფი იყო [illegible] და მოფიქრებულ მუშაობისა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამტკიცებს, რომ ხელშეკრულება მოუფიქრებლად არის დაწერილი; ტარდიე ამბობს: საზავო პირობები მუშავდებოდა 6 თვის განმავლობაში 52 კომისიაში, რომელთაც საერთოდ 1,646 სხდომა ჰქონდათ. შემდეგ ტარდიე აღნიშნავს, რომ საზავო პირობები ნაწილობრივად უკვე განხორციელდა და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხელშეკრულება არ საჭიროებს არავითარ შესწორებას და უცვლელად უნდა იქნეს განხორციელებული.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ

გაფიცვის გამო.

საქართველოს პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, თავის 23 მარტის სხდომაზე განიხილა რა ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის საკითხი, დაადგინა: გამოეცხადოს დასავლეთ საქართველოს ფოსტა ტელეგრაფის გაფიცულ მოსამსახურეებს საყვედური იმ უტაქტო მოქმედების გამო, რომელიც გამოიხატება გაფიცვის ისეთ დროს გამოცხადებაში, როდესაც ფაქტიურად შეთანხმება უკვე მიღწეული იყო და მხოლოდ საჭირო იყო პრინციპიალური დადგენილების პრაქტიკული განხორციელება. აღმასრულებელი კომიტეტის აზრით, გაფიცვის ბიუროს არ ჰქონია არავითარი [illegible] რებით აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლისათვის, რომელიც [illegible] ნებდა პირველად, რომ [illegible] ნილებები ფაქტიურად უკვე დაკმაყოფილებული იყო. აღმასრულებელ კომიტეტის დაუშვებლათ მიაჩნია ასეთი მოქმედება, რაც ნიშნავს პროფესიონალური მოძრაობის ძირითადი პრინციპების დარღვევას, რაზედაც აქცევს ხსენებული კავშირის ყურადღებას. მხოლოდ, რაც შეეხება იმ პროვოკაციას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ მოლაპარაკების დროს და რომელიც გამოიხატა გაფიცვის მოწოდების აშკარათ ცრუ ცნობით გადაცემაში, ვითომც მათ „გაფიცვის მოწოდება“ ეძლეოდა არა საქ. კავშირის ცენტრ. საბჭოს წარმომადგენელი, არამედ—ადმინისტრაცია, აღმასრულებელი კომიტეტი აღშფოთებულია ასეთი საზიზღარი მოქმედებით და კატეგორიულად მოითხოვს ფოსტა ტელეგრაფის კავშირისაგან ასეთ დამნაშავის და მოღალატის აღმოჩენას და მის ამხანაგურ სასამართლოში მიცემას.

ჯამაგირების მომატების საკითხი. ქუთაისის პროფესიონალური საბჭოს მიმართვა სახელმწიფო დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეთა ძირითად ჯამაგირების გადიდების შესახებ, დადგენილ იქნა: მათი მოთხოვნილებები გადაეცეს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს და სათანადო სამინისტროებს. ქუთაისის კავშირი ეცნობის, თუ რამდენათ დიდი და საშინელია მათ მიერ წამოყენებული საკითხი, რომლის გადაჭრაც ნაჩვენებ მოკლე დროში ყოვლად შეუძლებელია.

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲑᲘᲠᲟᲔᲕᲔᲚᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲐ

26 მარტს, 1920 წ.

კურსი.

სტერლინგი:	ა) ბანკნოტი	950
	ბ) ჩეკი	920
ფრანკი ფრან.	ა) ქაღალდ.	22
	ბ) ჩეკი	17,50
ლირა იტალ.	ა) ქაღალდ.	16,50
	ბ) ჩეკი	15,50
ლირა ოსმალ.	ა) ოქრ.	1420
	ბ) ქაღალდ.	240
	გ) ჩეკი	230
მარკა გერმ	ქაღალდ.	3.75
დოლლარი	280 ჩეკი	245
მ.ნ. ყოფ. რუს. იმპერ.		
	ა) ოქრო 10 მ.	1750
	ბ) ქაღ 100 მ.	800
	გ) ქაღ 500 მ.	1500

ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ

ყველა მეაბრეშუმესათვის ცხადია, რომ აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიღონ, როცა თვითონ თესლიც კარგი თვისებისაა. ამისათვის მეაბრეშუმეს უმთავრესად მიზანს შეადგენს სალი თესლის შეძენა-მოშენება. ჩვენში, სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ეს საქმე რიგიანად არ არის დაყენებული ამისი მოწყობა-მოვლაპატრონება შეადგენს უმთავრეს მოვალეობას, როგორც მთავრობის სპეციალური დაწესებულების, ისე საზოგადოებრივ სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოოპერატივებისას. დღევანდელ პირობებში სასურველია ჩვენმა მეაბრეშუმეებმა მიაქციონ ყურადღება შემდეგს:

ა) უპირატესი ნიშანი კარგი თესლის კარგი თვისებისა ის არის, როცა მასში სრულიად არაა ავადმყოფობა პებრინა, რომელიც ძლიერ მავნებელია აბრეშუმის ჭიისათვის.

ბ) ავადმყოფობის შემჩნევა თესლში მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება.

რადგან ჩვეულებრივ მეაბრეშუმესათვის მიკროსკოპის შეძენა ხელ მიუწვდომელია, ამისთვის თფილისის საბრეშუმო სადგურს დაევალა მთავრობის მიერ შემოტანილ თესლის მიკროსკოპით გამოკვლევა-შემოწმება. სადგური ამის და მიხედვით, თუ რა თვისებისაა შემოწმებული თესლი, ყოფს მას ორ ხარისხად და აკრავს სხვადასხვა ფერის ბანდეროლს.

ა) პირველი ხარისხის თესლი ის არის, რომელშიაც სრულიად არაა პებრინის ავადმყოფობის 5 % ზ. ასეთნაირი თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს თეთრი ბანდეროლი ზედ წარწერით: „უპებრინო“ და დაბეჭდილია ლუქით.

ბ) მეორე ხარისხის თესლი, თუმცა ცოტა პებრინიანია, მაგრამ ჭიის გამოკვებას და პარკის მოსავალს ისე არ ავნებს. ასეთ თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს ლურჯი ბანდეროლი ზედ წარწერით: „სამეურნეო“ და ისიც დაბეჭდილია ლუქით.

პარკის კარგი მოსავლისათვის საკმარისი არ არის მარტო კარგი თესლის შეძენა, საჭიროა კიდევ შემდეგი პირობების შესრულება:

ა) თესლი უნდა შეიძინოს მეაბრეშუმემ თავის დროზე—მარტსა და აპრილში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს აპრილის ბოლოსა. წინ. მაგალითად, თესლის შეძენა არ უნდა ვადაცილდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ მაისს და მთავრობის ახალი დადგენილებით თესლით ვაჭრობა აღნიშნულ ვადის შემდეგ აიკრძალულია.

ბ) მეაბრეშუმემ უნდა შეიძინოს მხოლოდ იმდენი თესლი, რამდენისათვისაც მას ექნება საკმაო თუთის (ბჟოლის) ფოთოლი და საჭირო სახლი.

გ) ექვს ან შვიდ მანეთიან კოლოფ თესლიდან გამოყვანილ ჭიების გამოსაკვებათ საჭიროა 40 ლიდი ანუ 60—80 საშუალო სიდიდის ხე და საჭირო სახლი, რომლისთვისაც დახარჯულებით თავსდება 276—322 კუბიკური არშინი ჰაერი.

დ) მეაბრეშუმემ კარგათ უნდა იცოდეს, რომ თუ მას აქვს საკმაო ფოთოლი და საჭირო სახლი მარტო ერთი კოლოფ თესლის ჭიისათვის და ის კი ორ ან სამ კოლოფ თესლს იღებს, ამით ის ფუჭად მოაგებს, ხშირათ შრომის ტყუილ ნაყოფს. ასეთ შემთხვევაში მეაბრეშუმეს ან სულ დაეღუპება მოსავალი ან პარკი უფრო ცუდი თვისების გამოვა და ჭიებს ავადმყოფობაც უფრო ადვილათ გაუჩნდება და სხვა.

ე) ერთსა და იმავე საჭირო სახლში არ შეიძლება გამოყვანა გამოკვება ჭიების, ორი სხვადასხვა ხარისხის და ფირმის თესლიდან, რადგანაც თუ ერთ კოლოფში სნეული თესლია და ჭიებიც სნეულია (საქართველოში ხშირად მეაბრეშუმეები ერთსა და იმავე სახლში იჩენენ, როგორც გამოცდილი, ისე შინაური ორი მოსავლიან თესლიდან გამოყვანილ ჭიებს, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში რაიმე გადამდები სენი სჭირს) ავადმყოფობა მეორე სახლი თესლის ჭიებსაც გადაედება.

დასასრულ მეაბრეშუმეთა ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ წელს მეაბრეშუმეობის ნაწარმოები დიდ ფასებში მოსდგლით ბაზარზე, მაგალითად, ფუთი ხმელი პარკი დარის რამოდენიმე ათასი მანეთი. ექვს გარეშეა, რომ წელს პარკის ფასიც ძლიერ დიდი იქნება.

როგორც დაწვრილებით გამოირკვა, წელსაც შედარებით ცოტა აბრეშუმის თესლი დაუმზადებიათ, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც: ოსმალო-ევროპაში, რადგანაც ცუდი მოსავლის გამო სათესლე პარკი ძლიერ ცოტა და დიდ ფასებში იშოვებოდა. აღნიშნულ მიზეზების გამო თესლის ფასებიც შედარებით დიდია: კოლოფი ცოტა საიმედო შემოწმებული თესლი ამ ჟამად უცხოეთში იყიდება 500—600 მან.

ფასები დღეთი დღე მატულობს, ამისათვის ვურჩევთ მეაბრეშუმეებს დღეიდანვე დაიჭირონ თადარიგი თესლის შესაძენათ და ჩვეულებრივად ნუ უცდიან თესლის გაიაფებას; პირიქით, ის უფრო გაძვირდება, თანაც გაფუჭდება და მეაბრეშუმეს შრომა ტყუილად უბრალოდ ჩაუვლის.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა რა მეაბრეშუმეობის დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა, განიზრახა ჯეროვანი დახმარება გაუწიოს მეაბრეშუმეობის განვითარება-გაუმჯობესობის საქმეს. ამ მიზნით მან დროზე შეიძინა უცხოეთში ცნობილ და საიმედო ფირმების თესლი, რომელიც ჯერ შემოწმებული და ბანდეროლ შეფუთულია. ეს თესლი ამ დღეებში გადაეცემათ ადგილობრივ საზოგადო ორგანიზაციებს, და ქარხა საცაქროებს მეაბრეშუმეებისათვის დასარიგებლათ-გასასყიდათ შეღავათიან პირობებში. ამასთან ერთად განზრახულია ტექნიკური დახმარება გაუწიოს მეაბრეშუმეებს გამოცდილი სპეციალისტ-ინსტრუქტორებმა თესლის რიგიან გამოყვანისა და ჭიის მოვლის საქმეში. პარკის მოსავლის გასაღებაშიაც მთავრობა შემდეგ დახმარებას გაუწევს მეაბრეშუმეს: ნედლი პარკის ჩაბარებისას მეაბრეშუმე ღებულობს ადგილობრივ ფასების 60 პროცენტს და დანარჩენ 40 პროცენტს მიიღებს, როცა მთავრობა ჩაიბარებს ხმელ პარკს, ესე იგი, ერთ ან ორი თვის განმავლობაში მეაბრეშუმე მიიღებს პარკის მთელ საფასურს. შემდეგ როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში, მეაბრეშუმეს დამატებით მიეცემა წმინდა მოგებიდან 30 პროცენტი. ორგანიზაციის, რომლის საშუალებით გატარდა ეს ოპერაცია, ეძლევა წმინდა მოგებიდან 10 პროცენტი, სააბრეშუმო ფონდში გადაიდება 10 პროცენტი და მხოლოდ დანარჩენი 50 პროც. რჩება მთავრობას.

ასე რომ, წმინდა მოგებიდან ნახევარი (50 პროც.) ხვდება მეაბრეშუმეობის წარმოებას და მეორე ნახევარი მიდის სახელმწიფო ხაზინაში. გარდა ამისა მთავრობის მიერ სათანადო ზომებია მიღებული თუთის—ბჟოლის პლანტაციების გამრავლებისა, თესლის ადგილობრივ დამზადების და ძაფის ამოღების დამუშავების შემოღების და რიგიანად წარმოების საქმეში, რის განხორციელებისათვის გადადებულია უკვე რამოდენიმე მილიონი მანეთი. ამნაირად, თუ ჩვენი მეაბრეშუმეები სათანადო ყურადღებით მიიღებენ ყველა ზემოაღნიშნულ რჩევა-დარიგებას, რიგიანათ გამოიყენებენ მთავრობის დახმარებას და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მალე ჩვენი მეაბრეშუმეობა შეიქნება სახოგადო მეურნეობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგად, როგორც არის იაპონიაში და სხვა [illegible] საბრეშუმო ქვეყნებში.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი საქართველოში ი. ქუთათელაძე.

სახალხო უნივერსიტეტის მოწოდება

ყოველი ინტელიგენტის და კულტურულად განვითარებული ადამიანის მიზანს და მოვალეობას უნდა შეადგენდეს თავისი სამშობლოს ფართე მასაში განათლების შეტანა. არც ერთი ინტელიგენტი არ არის თავისუფალი ამ მოვალეობისაგან, სანამ თავის თავს დემოკრატიის მეგობრად და სამშობლოს ერთგულ შვილად სახავს. ამიტომაც ყოველმა ასეთმა პიროვნებამ მთელი თავისი ძალ-ღონე უნდა შესწიროს ხალხს, უნდა შესწიროს დემოკრატიას და ამით თავისი მშობელი ერის კულტურულ აყვავებას ხელი შეუწყოს.

სამწუხაროდ თფილისის ინტელიგენცია თითქოს ვერა გრძნობს თავის მოვალეობას და მცირედ ღონეს ებმება თფილისის პროლეტარულ საკულტურო-საგანმანათლებლო ორგანიზაციათა მუშაობაში.

ერთ ერთი ასეთი და უდიდესი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაცია არის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის გარშემო შემოკრებილი ჯგუფი დაუღალავად ეწევა კულტურულ მუშაობას თფილისის დემოკრატიაში. მაგრამ ბოლო ხანებში სახალხო უნივერსიტეტის მუშაობამ იმატა და განვითარდა. წინანდელი ჯგუფი მუშაობას ვეღარ სწვდება. საჭიროა ახალი ძალებიც. საჭიროა ლექტორების ახალი ტალღა და სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა მიმართავს ყველას ვინც-კი თავის თავს ლექციების საკითხავათ მომზადებულათ სთვლის, დაუყოვნებლივ ჩაებას მუშაობაში და დემოკრატიის წინაშე თავისი მოვალეობა მოიხადოს.

არავის არა აქვს უფლება უყურადღებოთ დასტოვოს ეს მოწოდება, თუ კი ძალები შესწევს. ყოველი მომზადებული და საჭირო უნარის მქონე მოვალეა გამოცხადდეს და საერთო მუშაობაში თავისი წვლილი შეიტანოს.

შრომისათვის ყოველი ლექტორი გასამრჯელოს მიიღებს. ჩაწერა და პირობების გაგება შეიძლება:

1. დამფუძნებელი კრების ქვესტორთან—სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარე სერ. ქართველიშვილთან ყოველ დღე 3 საათამდე და 2, სახალხო უნივერსიტეტის გამგე ი. ანთაძესთან (პლეხანოვის პრ. № 123, უნივერსიტეტის სამმართველო), 12—3 ს. და განყოფილებების წარმომადგენელთა საერთო კრება მოხდება კვირას, 4 აპრილს, დილის 11 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის სამმართველოში (პლეხანოვის პროსპ. № 123).

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს 1920 წლის მარტის 29-ს სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

1) საქმე მიხეილ და ოქროპირ შოშიტას ძეთა ხონელიძეების პარმენ ლეცანის ძე და ვასასია დარიჩაშანის ასულთ ადეიშვილებთან მამულის საკუთრების უფლების თაობაზე.

2) საქმე ნიკო პიქაძისა და გარდაცვალებულ ვასო პიქაძის ქონებისა და ობლების მეურვის ივანე პიქაძისა თულთა და ვასიკო ალექსიშვილებთან მამულის თაობაზე.

3) საქმე მაკირტიჩ ყარტახაროვანცისა და სიკო სუკიასოვისა გიგო (იგივე გრიგოლ) არუთიონოვთან 300 მან. თაობაზე.

4) საქმე ნავთის ამხ. „სვეტის" [illegible] 488 მან. 88 კაპ. თაობაზე. და უკანასკნელის [illegible] სარჩელის შესახებ.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის ინიციატივით სახელმწიფო თეატრში 21 მარტს დაიდგა ოპერა „ქეთო და კოტე". დასწრენ თფილისის გარნიზონში მდგომი ყველა ნაწილები და სახალხო გვარდიელები. ოპერის წინ შესავლისი ახსნა განმარტება გააკეთა თეატრის კომისარმა ბ. ალ. წუწუნავამ. ოპერამ ჯარისკაცებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

მთავრობის გადაწყვეტილებით მომავალში ჯარისკაცთათვის წარმოდგენა მოეწყობა თვეში ორჯერ.

— 23 მარტს მესანგრეთა ბატალიონში წაკითხულ იქნა ლექცია სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის ინსტრუქტორ-მასწავლებელ ალ. გორგაძის მიერ შემდეგ თემაზე: „საქართველოს ისტორიული და თანამედროვე საზღვრები". საზღვრების აღნიშნის დროს ჯარისკაცთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სამხრეთის საზღვრებმა, მესხეთმა, რომელიც ისტორიულმა უსამართლობამ მოგლიჯა ჩვენს ქვეყანას. ლექციის შემდეგ საუბარი გაიმართა ბათუმის ოლქის და ზაქათალის შესახებ კულტ.-განმ. სექციის უფროსმა ალ. ქართველიანმა.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. სამშაბათს, 23 მარტს, საღ. 8 საათზე სოლოლაკის თავდაცვის შტაბის ბინაზე, შესდგა მესამე უბანში მცხოვრებ ს. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. რ. ჯიბლაძე. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მცირე კოლექტივის ანგარიში, 2) დემოკრატიზაცია რაიონისა, 3) ბინის შესახებ, 4) მცირე კოლექტივის წევრთა და 5) რაიონული კოლექტივის წარმომადგენლის არჩევნები. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. თ. ნიკოლაიშვილი და აცნობს კრებას პირველ მუშაობის მსვლელობას ამ უბანში და ძველი მცირე კოლექტივის მიერ. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ სხდომა ერთხმად ადგენს, პარტიული მუშაობის გასაძლიერებლად ახლად ადგენილ იქნას მცირე კოლექტივი. კამათს იწვევს კითხვა, თუ რომელ რაიონის ფარგლებში მოხვდეს უბანი. ნაწილი მომხრეა ეს უბანი ჩამოაშოროს მეოთხე რაიონს და შეაერთოს მეექვსეს, ნაწილი წინააღმდეგია. სხდომა ადგენს დროებით ეს კითხვა ღიათ დარჩეს. ბინის შესახებ კრება ადგენს დროებით, ბინათ მცირე კოლექტივი დარჩეს შტაბში, მხოლოდ შემდეგისათვის ბინის გამოძებნა ევალება უკვე არჩეულ რაიონულ კოლექტივის კომისიას, რომელსაც შეუერთდება ერთი მცირე კოლექტივის წარმომადგენელი. შემდეგ კრება გადადის არჩევნებზე. მცირე კოლექტივში არჩეულ იქნა შემდეგი ხუთი ამხანაგი, სამი კანდიდატით: თ. ნიკოლაიშვილი, ვ. შოთირიშვილი, რ. ჯიბლაძე, ს. ოკროფირიძე და ვ. ადამიანცი. კანდიდატებათ: ვ. ჩიტაიშვილი, ს. საჯაიანი, და ნავროზაშვილი. ხოლო მეოთხე რაიონულ კოლექტივში საათობრივი ხმით არჩეულ იქნა ამხ. თ. ნიკოლაიშვილი.

კრებას დაესწრო მეოთხე რაიონის მდივანი, რომელმაც მოახდინა წევრთა რეგისტრაცია და მიიღო საწევრო გადასახადი. X.

მუშათა შორის

თფილისი: 17 მარტს მოხდა საერთო კრება დაბაღების ქარხნების მომუშავეთა ტერ-გრიგორიოვის თავმჯდომარეობით. განხილული იყო შემდეგი კითხვები: 1) ფეხსაცმელების მკერავთა საბჭოს მიერ გამოცემული პროკლამაცია და მეტყავეთა კავშირის გამგეობის მოქმედება, 2) სადემონსტრაციო გამოსვლა ბათუმის გამო, 3) უმუშევარ ამხანაგების შესახებ და 4) ადგილობრივი საქარხნო კომიტეტის შესახებ.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლაბაური და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ადგენს: მოვისმინეთ რა ამხ. ლაბაურის მოხსენება ფეხსაცმელების მკერავთა მიერ გამოცემულ პროკლამაციის შესახებ და მეტყავეთა კავშირის გამგეობის მოქმედების შესახებ, ჩვენ, დაბაღებში მომუშავენი ვაცხადებთ სასტიკ პროტესტს მათი საქციელის გამო და მოვითხოვთ მათ გადადგომას. ამასთან, რადგან ჩვენ არ ვიცით სად მიდის ჩვენ მიერ გადახდილი პროცენტები, ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ საბჭოს სეკრეტარიატმა გაუკეთოს მათ რევიზია, ხოლო ჩვენ კი, სანამ გამგეობა არ გაგვიხსნის იმ პროცენტებს, რომლებიც მიდიოდა მათ სასარგებლოთ, დავუკავშირდებით ადგილობრივ საქარხნო კომიტეტები და ყველა გვარი საქმეს ვაწარმოებთ დამოუკიდებლად საბჭოს სეკრეტარიატთან.

მეორე კითხვაზე კრება ადგენს; ვაცხადებთ რა სასტიკ პროტესტს ბათუმის საკითხის უსამართლოდ გადაჭრის გამო, ჩვენ დაბაღების მომუშავენი ვიღებთ დემონსტრაციებში მხურვალე მონაწილეობას, რისთვისაც ვიღებთ ხელს სამუშაოდან 19 მარტს დილის 12 საათზე.

დანარჩენი კითხვები მეორე კრებამდე ღიათ დარჩა. კოტე.

ხაშური. სურამის მუშები თანდათან ეწყობიან ორგანიზაციულად. რუსეთის სამი წლის თავზედ მათაც [illegible] და თავიანთი ხმა შეუერთეს საქართველოს მუშების ხმას.

სამშაბათს 12 მარტს, სურამის ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგა სურამის მუშათა კრება. კრებაზედ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. კრონაშვილმა. შეეხო რუსეთის რევოლუციას, ბოლშევიკების მოღალატეობას, საქართველოს დემოკრატიის მიზანდაწერილ მუშაობას და საერთოდ, მუშათა თავგანწირულ მუშაობას დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაში. დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რითაც სურამის მუშები უძღვნიან სალამს საქართველოს მუშათა ორგანიზაციებს და უცხადებენ კვლავაც ნაყოფიერ მუშაობას, დემოკრატიულ წყობილების საშუალებით, ჩვენი საბოლოო მიზნის, სოციალიზმისთვის ბრძოლებს.

დასასრულ ილაპარაკა გვარდიის წარმომადგენელმა კ. ჯამბურიძემ.

ბედნაშვილი.

პროვინცია

მუხრანი. 19 მარტს მუხრანში მოხდა მთელი საზოგადოების მრავალრიცხოვანი კრება ბათუმის შესახებ. მთელი საზოგადოება უკმაყოფილო იყო ბათუმის საკითხის უსამართლოთ გადაჭრის გამო. კრებაზე ილაპარაკეს მრავალმა და ყველა იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ ბათუმი უსათუოდ უნდა შეუერთდეს საქართველოს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. შემდეგ მიიღეს რეზოლუცია, რომელშიაც ის აზრია გატარებული, რომ საქართველოს უბათუმოთ არ შეუძლიან არსებობა და ბათუმს უსაქართველოთ. ავალებს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომები ბათუმის შემოსაერთებლად და მთელი მუხრანის საზოგადოება ფიცსა სდებს, რომ იბრძოლებენ ბათუმისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ეხლახან მუხრანის თემის მმოსახლეთა ყრილობამ დაადგინა, რომ მუხრანში მდებარე სახლი ნიკო ბაგრატიონ მუხრანსკის და ბუტკევიჩის შესყიდულ იქნას თემის მიერ.

ეს გადაწყვეტილება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. ამ მოკლე ხანში მუხრანში დაარსდა ბევრი კულტ-განმანათლებელი დაწესებულებები, გაიხსნა სავადმყოფო, რომელიც წინეთ არსებობდა და უკანასკნელი ოთხი წელიწადი დაკეტილი იყო. ყველა დაწესებულებებს ესაჭიროებოდა შენობები და ამნაირი შენობები კი მუხრანში არ მოიპოვებოდა გარდა ბაგრატიონ-მუხრანსკის და ბუტკევიჩის შენობისა.

მუხრანის თემი აქამდე უბინაოთ იყო და თემის გამგეობა ეროსის დუქანში იყო მოთავსებული, რის გამოც უნდა ითქვას, რომ ვერაფერი ვერ კეთდებოდა. სავადმყოფო არის მოთავსებული ყოვლათ უვარგის შენობაში. ერთის ოთახში სავადმყოფოს საწოლიც არის, აფთიაქიც, ლაბორატორიაც და ავადმყოფების მისაღებიც, რის გამოც სავადმყოფო ცუდ მდგომარეობაშია ჩაყენებული. აგრეთვე არ არის შენობა, სადაც საზოგადოებას შეეძლოს მოიყაროს თავი გამართოს ლექციები, მოხსენებები და სხვა სოფლის სასარგებლო საქმეები. ერთად ერთი შენობა, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, ეს არის ბაგრატიონ-მუხრანსკის და ბუტკევის შენობა. საქმე იმაშია, რომ მემამულე ბაგრატიონ მუხრანსკის რამდენიმე წელიწადია მუხრანი თვალით არ უნახავს. სახლიც და მთელი კარმიდამოც ერთ მოსამსახურის ხელში იყო. უპატრონობით ამ საუცხოვო შენობას რამდენიმე ადგილას ჭერიც კი ჩამონგრევია. დიდი ხანია არ შეკეთებულა და ნელ-ნელა ინგრევა. ეზოში ბაგრატიონ-მუხრანსკის ჰქონდა დიდძალი ქვა-ქვიშა, კირი და სხვ. ყველა ესენი სულ გაყიდა. რაც კი მოხვდება ბაგრატიონ-მუხრანსკის ჰყიდის. ამასწინეთ კი მოიყვანა მუხრანში ინგლისელები და ხალხი დაიბარა, რომ ესენი [illegible] არიან, [illegible]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მემამულეებს ასეთ ისე ზრდილობიანათ არ მოეპყრობიან, როგორც მუხრანელები. ბევრი მაგალითები არის აქეთკენ, რომ მემამულეებს სახლებს აქცევენ და ისე ჰყიდიან. ამ შენობას ესაჭიროება პატრონი, ძლიერ საჭიროებას შეადგენს ეს შენობა სოფლისათვის და ამიტომ დადგენილ იქნა თემის ხმოსანთა ყრილობაზე, რომ ნიკო ბაგრატიონ-მუხრანსკის და ბუტკევის შენობა შესყიდულ იქნას თემის მიერ. ამის შესახებ ეცნობა დუშეთის მაზრის ერობას.

ეს შენობა ნახა აგრეთვე თფილისის მაზრის ერობის თავმჯდომარემ, რომელმაც აღფრთოვანებლად ცნო ამ სახლის სოფლის ხელში გადასვლა. გამოსახლებამდის თემი უბინაოთ იყო და ზემოხსენებული სახლები კი უქმათ იყო. ამიტომ თემმა საზოგადოების წარმომადგენლების, სახალხო გვარდიის წარმომადგენლების, ორგანიზაციების წარმომადგენლების და თვითონ მემამულეს მოსამსახურის თანდასწრებით დაიკავა ქვემო სართულის სამი ოთახი. აღსანიშნავია, რომ კარებები იმ სართულში დაკეტილები არ იყო (ან კი რითი დაეკეტებინათ შიგ არაფერი იყო, გარდა ერთი ორი სკამისა. ამას წინეთ რაც ჰქონდა ავეჯეულობა წაიღეს მუხრანიდან თფილისში). ამის შესახებ ეცნობა როგორც დუშეთის მაზრის ერობას, აგრეთვე თვით ბაგრატიონ-მუხრანსკის. მალე მუხრანში მოვიდა ნიკო ბაგრატიონ-მუხრანსკი ძლიერ აღელვებული და ხანჯალზე ხელ-დადებით ხალხს, რომლებიც მოსულიყვნენ თემში საქმისთვის, უყვიროდა, გიბრძანებთ ამ წუთშივე დასცალოთ სახლიო. ხალხში ხმას ავრცელებდა, რომ მთავრობისაგან მაქვს ქაღალდი, რომ ჩემი სახლის ახლო გაკარებაც არავის შეუძლიაო. მისი ბრძანება თემმა არ შეასრულა და არ დასცალა სახლი. სოფლიდანვე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ უთვალავი დეპეშები გაგზავნა მთავრობასთან. ჩვენ არ ვიცით როგორი შინაარსის დეპეშები და თხოვნები გაგზავნა, ერთი კი ვიცით,—რომ ყალბ ცნობებს ბევრი ადგილი ექნება. როდესაც მთავრობა თხოვნებს და საჩივრებს მიიღებს ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აგრეთვე მთელი მუხრანის საზოგადოების თხოვნა და ხალხის ინტერესები იმ მშრომელ ხალხისა, რომლებიც მთავრობას ჭირში და ლხინში მუდამ გვერდში უდგანან. მთელი საზოგადოება დარწმუნებულია, რომ მთავრობაც არგუნებს სოფელს. ბევრი რამეები გაყიდა ბაგრატიონ-მუხრანსკიმ და [illegible] სახლებზე და [illegible], როდესაც სოფელს ესაჭიროება. ალბათ, ჰგონია, რომ სოფელს მუქთად უნდა მისი სახლები, მაგრამ სცდება—ფულს მიიღებს იმდენს, რამდენსაც ღირსადღება მისი შენობა.

ხოფლელი.

ხიდისთავის (გურია) თემის მიერ არჩეული ხიდის გამკეთებელი კომისია აცხადებს და სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც დაპირებული ჰქონდათ შემოწირულებანი თუ ფურცლები ფულის დასაგროვებლად ხსენებულ ხიდის სასარგებლოთ, ასეთი ფურცლები და შეგროვილი ფული დაუბრუნონ აღნიშნულ კომისიას დღეიდან გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში შემდეგი მისამართით: ხიდისთავი (გურია) კომისიის წევრებს: მღ. ერეკლე ქორიძე, გერმან ჯიბლაძე, ბართლომე მიქელაძე.

წერ. რედაქციის მიმართ

ბატ. რედაქტორო! თფილისის საპყრობილეთა ინსპექციამ გამოგზავნა ჩემ ხელში რწმუნებულ წისქვილში 1000 ფუთი სიმინდი დასაფქვავათ, რაც პირნათლად იქნა შესრულებული. 22 მარტს მოვიდა მათი წარმომადგენელი ვარლამ ქორქოლიანი ფქვილის მისაღებათ, მე როდესაც მოვსთხოვე მას სიმინდის დასაფქვავი ფასი, მან მიპასუხა: „ამას საპყრობილეთა ინსპექცია გადაიხდისო, მხოლოდ მე მინდა შემდეგისათვის ჩვენ შორის კეთილ განწყობილებას დასამყარებლად პირადათ ჩემგან მიიღოთ ჯერ ჯერობით ეს-ო," ამოიღო ჯიბიდან 2 ათასი მანეთი და ჩემს მაგიდაზე დასდო. ამასთანა თავხედობამ მე ძალიან აღმაღელვა, რის გამო დაუძახე იქვე მომუშავე კანცელარიის მოსამსახურეთ ს. გედევანიშვილს და გ. აპრიამოვს გადავეცი საქმის ვითარება და უთხარი [illegible] ეს ფული და თქვენთვის გადმოეგზავნათ გორში დაზარალებულთა სასარგებლოთ. აღნიშნულ თანხას ამასთანავე გიგზავნით *). ჩემის აზრით კი ამ ვაჟბატონს ზიზღს ვუცხადებ, ვინაიდან ეტყობა მას ძლიერ დახელოვნებული ბრძანებულა ქრთამების აღებ-მიცემაში და ისე დაბრმავებულა, რომ სინიდისიერი ადამიანები ეგულება ამ ქვეყნათ.

თფილისის სამხედრო წისქვილის გამგე რევიშვილი.

---

*) წარმოდგენილი 2000 მანეთი მიიღო რედაქციამ „გორის ფონდისთვის". რედაქ.

განცხადებანი

სამრეცხლევი „ქიდლეც"
ნამდვილი ამერიკული სასწრაფოთ იყიდება
შეღავათიან ფასებში ბითუმად და ცალობით ა. ზავიხის
ინგლისურ მაღაზიაში
რუსთაველის პრ. № 30, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (1008 6—4)

იყიდება
პროექტორი
დინამო ნევტომატორი ქ. თელავში და კინემატოგრაფის მთელი კომპლექტი.
მისამართი: ქ. თელავი, პროექტორი „ლირა" მართიროსიანცი. (1041 3—3)

ექიმი
ნ. დ. [illegible]
იღებს შინაგან, სისხლის და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღის 1—3 ს. და საღ. 6—5 ს. ნიკოლაევის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—12. 119—ct.

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველდღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საშვილოსნო ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 27, [illegible].

ექიმი
დოქ. კონს. მ. გრინბაუმ
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 561)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. მკურნალობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, ჰაბების და ნერვიულ სისტემის. რენტგენის და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

კერძო სამკურნალო
ექ. ი. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კირიჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87
მიიღება ყოველგვარი სნეულებებით ავადმყოფებისა დილის 9—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. ღარიბებისათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.
იღებენ ექიმები
ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. გ. მაღლაკელიძე—შინაგ. ავადმყ. და მიკრო-ბიოლ. ანალიზი.
ა. გ. მაჭავარიანი—ქირურგ. ავადმყ.
ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. ორემბოვსკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
ე. ლ. შალამბერიძე—ქალის ავადმყ. და სამეანო.
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განავალის და სხვ. (თ. 009)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიკო"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

ექიმი
ა. ზ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ, საღ. 5—7 საათ. [illegible] ქ. № 9, [illegible] ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

[illegible] კლინიკებისა
ა. ზ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ქალებისა და ბავშვების. იღებს რენტგენის ელექტრო-[illegible] კაბინეტში. [illegible] დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 28, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს [illegible]. (თ. 616)

ექიმი [illegible]
[illegible] „606" და „914" [illegible] დილის 8—11 და [illegible] 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 35.

[illegible] სტამბა ვ. რუხაძისა, [illegible] შესახვევი № 1.